საქ. მუშათა სოც.-დემ. სარეკ. პარტია

ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 1,250,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 75,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სახახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი:
1 გვ. 250,000 მან. ნონპარელი
4 „ 200,000 „
სამგლოვიარო განცხადებანი:
1 გვ. 2,500,000 მან.
4 „ 2,000,000 „

№ 526 პარასკევი, ივლისის 20 1923 წ. უოველდღიური გაზეთი ფასი 75,000

სასოფლო მეურნეობის აღდგენა

სასოფლო-სამეურნეო კულტურამ დაიკლო საქართველოში. ომამდე ფეხი აიდგა სასოფლო-სამეურნეო კულტურის ზოგიერთმა მაღალმა დარგმა, მაგრამ ომმა და რევოლიუციამ დაუკარგა ბაზარი მას და გლეხობა ისევ სიმინდისა და პურის თესვას შეუდგა.

აგრარული რევოლიუციის ჩატარება უმთავრესი საფუძველია, რომელიც დიდათ გააუმჯობესებს სასოფლო-მეურნეობას. იჯარით აღებულ მიწაზედ, რომლის დროს მოიჯარადრე რენტის დიდი ხარისხით არის დაინტერესებული და იჯარის ამღები მიწისაგან განსაზღვრულ დროს განმავლობაში ნაყოფიერების მაქსიმალურად გამოცლით, ცხადია მეურნეობის განვითარებისათვის ვერ წარმოადგენს ჯარგ პირობებს.

დღეს, როდესაც გლეხი დარწმუნებულია, რომ მის შრომის ნაყოფს ვერავინ წაართმევს და მიწაც მის ხელში იქნება მუდმივად, განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს მის კულტივაციას, განვითარებას და მოვლას.

ესევე პირობა საშუალებას მიცემს გლეხობას სასოფლო-სამეურნეო კულტურის მაღალი დარგების განვითარებისათვის, რადგანაც ასეთი მეურნეობისათვის საჭიროა შედარებით დიდი პერიოდი, რაც მოუხერხებელი იყო გლეხისათვის საიჯარო და საღალო სისტემის დროს.

ამ მხრივ აგრარულმა რევოლიუციამ მისცა ჩვენს სასოფლო მეურნეობას განვითარების და აღორძინებისათვის საჭირო პირობა. ეს დიდი წინსვლის ფაქტორია, მაგრამ აქ შეჩერება კიდევ არ შეიძლება. სასოფლო-მეურნეობის აღორძინებისათვის საჭიროა მორიგი ნაბიჯების გადადგმა. მორიგ ნაბიჯად უნდა მივიჩნიოთ ერთი მხრივ სასოფლო-სამეურნეო კომუნების ფართოდ გავრცელება, ხოლო მეორე მხრით ამ კომუნების უზრუნველყოფა სასოფლო-სამეურნეო იარაღებით.

გლეხს თუ დღეს აქვს ინსტიქტი კერძო საკუთრებისა და კერძოდ, ინდივიდუალად მეურნეობის გაძღოლისა, ეს მხოლოდ მით აიხსნება, რომ მან ჯერ კიდევ არ იცის კოლექტიური დამუშავების უპირატესობა. სასოფლო-სამეურნეო კომუნებს შეუძლიათ ამ მხრივ არა მარტო მატერიალური შედეგების გამრავლება, არამედ გლეხის ფსიქოლოგიის გარდაქმნაც. ამასთან ერთად ეს კომუნები ორგანიზაციულად დარაზმავს გლეხობას, შეიტანს მასში სოლიდარობის, ერთობის და შეკავშირების მოთხოვნილებას.

ეს უკანასკნელი კი დიდათ მნიშვნელოვანია. გლეხური მასების ორგანიზაციული დარაზმვა ასწევს მათ კულტურულ-პოლიტიკურ შემეცნებას და გამოიყვანს მათ ფართოდ საზოგადოებრივი მუშაობის ასპარეზედ. ამ მხრივ ყურადღება აუცილებელია. ერთი კომუნის წარმატება და მის მიერ მაგალითის მიცემა ძლიერ ბევრსა ნიშნავს გლეხობისათვის.

გლეხი უაღრესად პრაქტიკოსია და მისთვის ამდენი მნიშვნელობა არა აქვს ლექციებსა და პროპაგანდას. გლეხი საქმით პროპაგანდას მოითხოვს. ამ სახის პროპაგანდით უნდა მივიდეთ სოფელში, უნდა მოვაგვაროთ გლეხის ჭირვარამი.

ეკონომიური ორგანიზაციები სოფლად და ქალაქად მშრომელთა ხელმძღვანელობით, პოლიტიკური ძალა-უფლება მუშისა და გლეხის ხელში, შექმნის პირობებს სოციალური გარდაქმნისა.

საჭიროა ფართო მუშაობის გაჩაღება კომუნების დასაარსებლად და სამეურნეო იარაღებით მათ უზრუნველსაყოფად.

კათალიკოს ამბროსთან

გასულ დღეებში პირადი ნახვის შემთხვევა ჰქონდათ გაზ. „ტრიბუნა“-ს და „რაბოჩაია პრავდას“ მუშა კორესპონდენტებს საქართველოს კათალიკოს ამბროსისთან იმ ხმების გამო, რომელსაც ალაგი ჰქონდა ამ დღეებში, რომ ვითომც ამბროსი, საკათალიკოზო სასახლიდან გადასახლების გამო ძლიერ შეეწუხებინოთ და შეევიწროვებინოთ.

საქმე შემდეგშია: საკათალიკოსო საბჭოს სასახლის ბინა განთავისუფლებულ იქნა ბავშვთა თავშესაფარის საჭიროებისათვის და კათალიკოსი ამბროსი გადაყვანილ იქნა სიონის საკათედრო გალავანში; მას დაეთმო იქ ორი საშუალო ოთახი სამზარეულოთი და საბინაო განყოფილების მიერ მიღებულია სასწრაფო ზომები მესამე მოზრდილი ოთახის დათმობისათვის. შეკითხვაზე:—ხომ არავინ შეაწუხა და აწყენინა გადასახლების დროს,—კათალიკოსმა განაცხადა რომ იგი ჩვეულებრივადა გრძნობს თავს, თუ სახეში არ მივიღებთ იმ გარემოებას, რომ მას ნება არა აქვს სადმე წასვლის.

მუშა კორესპონდენტები 62 წლის მოხუცებულმა კათალიკოსმა მიგვიღო დიდის მოწიწებით და კარგის ხასიათის სახით გვესაუბრა დარბაისლურად თითქმის ერთი საათი.

კითხვა პასუხები მრავალი იყო, მაგრამ მსჯელობის უმთავრესი ყურადღება მიქცეული იყო პოლიტიკურ მხრისაკენ,

კათალიკოსი ამბროსი უარს არ ამბობს, რომ მან ენუის კონფერენციას აუწყა ის გარემოება, რომ ბოლშევიკების შემოსვლის შემდეგ საქართველოს სახელმწიფოს და მისი ერის სუვერენიტეტი ინტერვენციის სახით შელახულ იქმნა.

— კეთილი, მაგრამ... ერთი ეს გვიბრძანეთ; —ენუის კონფერენციის დროს ხომ საქართველოში ეკლესია ხელუხლებელი იყო და მასზე ხმას არავინ არ იღებდა და არც არავინ აწუხებდა, მაშ რითი ხელმძღვანელობდით თქვენი პროტესტით?

— რა თქმა უნდა, როდესაც სახელმწიფოს სუვერენიტეტი ილახება, ეკლესია მის, ე. ი. შელახვის გარეშე არა რჩება და მე, როგორც საქართველოს ეკლესიის თავი, მოვალე ვიყავი ამ გარემოებისათვის ყურადღება მიმექცია და ჩემი პროტესტი სწორედ ამ ეკლესიის სუვერენიტეტის დაცვის თვალსაზრისიდან გამომდინარეობდა.

— როგორ უყურებთ თქვენ არსებულ სახელმწიფოს ფორმას დღეს?

— მე როგორც სასულიერო პირს არავითარი უფლება არა მაქვს ჩავერიო საქმეში მაშინ, როდესაც ერთი მთავრობა სცვლის მეორეს. სახელმწიფოს ფორმასთან ჩვენ არავითარი საქმე არა გვაქვს, მით უმეტეს, როდესაც ამ ფორმას თვით ხალხი აღიარებს. სასულიერო წოდებას გვაქვს სარწმუნოებრივი პრინციპი და მოგეხსენებათ, რომ ეკლესიას თვით მენშევიკებიც, როგორც მარქსისტები უარჩყოფდნენ, რის გამოც გეხსომებათ განსვენებულ კათალიკოს ლეონიდს პირადი შეჯახებაც კი მოუხდა მენშევიკების მთავრობის ყოფილ თავჯდომარე ნ. ჟორდანიასთან. ასე, რომ მე სახელმწიფოს ფორმის წინააღმდეგი არას დროს არ ვიქნები, ოღონდ კი მისი სუვერენიტეტის დამცველი ყოველთვის ვიქნები.

— როგორ გესმით დღევანდელ მომენტში,— სახელმწიფო სუვერენიტეტი შელახულია თუ არა?

— სიმართლე უნდა მოგახსენოთ, კომინტერნმა და კერძოდ მეთორმეტე ყრილობამ კომუნისტების ლიდერების სახით მოსკოვში, დიდი ყურადღების ღირსი გახადა ეროვნული საკითხი და თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღეს ნაწილობრივ სახელმწიფოს სუვერენიტეტი აღდგენის პროცესშია და დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს.

— რას იტყვით საკათალიკოსო საბჭოს შენობის კარის გატეხვის და იქ ცეცხლის გაჩენის შესახებ?

— ეგ საქმე ისეთი სიბნელით არის მოცული, რომ გარკვევით და გადაჭრით არაფრის თქმა არ შემიძლიან, მხოლოდ ერთი რამე დღესაებრ ნათელია; ის, რომ ეგ ბოროტი საქმე ჩადენილია ჩემი მტრების მიერ და მე ძლიერ გაკვირვებული ვარ, რომ დღევანდლამდე არ მომხდარა სასტიკი გამოძიება ვისგანაც ჯერ არს.

— მაგალითად; როგორ უყურებთ თქვენ სოფლებში ეკლესიების დახურვას?

— არის ფაქტები, რომლის მიხედვითაც შემიძლიან ვსთქვა, რომ სოფლად ბევრი ეკლესიები იხურება ხალხის გარეშე ზეგავლენით, მაგრამ თუ მართლა ხალხი მოისურვებს დახუროს ეკლესიები, ასეთ შემთხვევაში სასულიერო წოდება მზად არის ხმის ამოუღებლივ დაემორჩილოს ხალხის ნებისყოფას.

— აპირობთ თუ არა მომავალში რეორგანიზაციას და რაიმე რეფორმების მოხდენას ეკლესიის ცხოვრებაში, აი, როგორც მაგალითად „ცოცხალი ეკლესია“ აღიარებს რუსეთში?

— რუსებზე ადრე ქართველ სამღვდელოებას გვსურდა ქრისტიანულ რელიგიაში მოგვეხდინა ერთგვარი დემოკრატიზაცია; მაგალითად გელათის სობოროში მოხდა ქართველ სამღვდელოების ყრილობა, რომელსაც მე თავმჯდომარეობდი; ამ ყრილობაზე წარმოდგენილი იქნა რეფორმის დებულება, რომლის ძალითაც ყოველ სასულიერო პირს უნდა მინიჭებოდა სამსახურის გარეშე სრული მოქალაქეობრივი უფლებები, როგორც მაგალითად სამი ცოლის გამოცვლა და სხვა, იყვნენ მომხრეებიც, მაგრამ ყრილობის უმრავლესობამ ეს დებულება უარყო. ეს ასე, მაგრამ მე მინდა თქვენ გკითხოთ:—განა რუსეთის „ცოცხალი ეკლესიის“ ახალ კანონს, თუნდაც სამი ცოლის გამოცვლის შესახებ, —შეუძლიან რაიმე გარდატეხა მოახდინოს რელიგიის მცნებაში? საერთოდ კი რუსეთის და საქართველოს ეკლესიის ცხოვრების შორის დიდი სხვა და სხვაობა არის. ასე რომ რეორგანიზაციის შესახებ ჩემს კონკრეტიულ აზრს ვერ გეტყვით, ეს უფრო ახალი ყრილობის საქმე იქნება.

შემდეგ შეკითხვებზე კათალიკოსი ამბროსი გვიპასუხებს, რომ იგი სახლში სრულიად არავის ღებულობს, პოლიტიკით რასაკვირველია დაინტერესებულია, მაგრამ მწუხარებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ მას არა აქვს საშუალება სისტემატიურად ყველა გაზეთები შეიძინოს და იკითხოს, ვინაიდან მისი ჯამაგირი განისაზღვრება რაღაც 30 მილიონით და ამის გამო განიცდის სიღარიბეს.

— მართალია მე, დიდი განათლებული კაცი არა ვარ,—ამბობს ამბროსი.—მაგრამ რა ცოდნაცა მაქვს, იგი საშუალებას მაძლევს და ამ ჟამად ვკითხულობ სხვა და სხვა სამეცნიერო წიგნებს, ვწერ და ვამზადებ ისტორიულ მასალებს ძველი და ახალი ეკლესიის ცხოვრების ეპოქებიდან და სხვა.

გამომშვიდობებისას ამბროსიმ დიდი მადლობა გადაგვიხადა და დიდათ გვთხოვა, რომ თუ გაზეთებში რამეს დავწერთ,—დავწეროთ ისე სისწორით, რომ ნურც ნურაფერს მიუმატებთ და ნურც დაუკლებთ, ვინაიდან მისი თქმით მასზე გაზეთებში ბევრი არა სწორი ცნობები დაბეჭდილა.

—

საკათალიკოსო საბჭოს სასახლის ლიკვიდაცია მოხდა შემდეგის სახით: სასახლის შენობა გადაეცა ბავშთა თავშესაფარს. ავეჯი გადატანილ იქნა ტფილისის აღმასკომში და ნაწილი კი დატოვებულ იქნა ბავშთა თავშესაფარის საჭირეებისათვის; რაც შეეხება საეკლესიო ნივთებს და სამღვდელოების შესამოსი, იგი გადატანილ იქმნა სიონის ტაძარში და ვერცხლის ნივთები კი (დაახლოვებით 30 გირვ.) და მათ შორის რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე III-ს მიერ ნაბოძები ეპისკ. ალექსანდრესათვის გულზე სატარებლად ძვირფასი ქვებით შეჭედილი ჭანალია წაღებულ იქნა სახალხო ბანკში. რაც შეეხება ისტორიულ ნაშთებს, როგორც მაგალითად მხატვრობა, სხვა და სხვა განძები და მათ შორის მეფე ერეკლეს დროინდელი ანტონ კათალიკოსის 1-ლის შუშის ბეჭედი წაღებულ იქნა საქართველოს მუზეუმში.

ლიკვიდაციაში და აღწერაში მონაწილეობას ღებულობდა მთავრობისა და ქალაქის დაწესებულებათა წარმომდგენლები.

მუშკორი დ. მელი.

ახალი ამბები

— **პავლე მანსვეტაშვილმა** დასწერა „რექვიემ“, რომელიც უძღვნა ტრაღიკულად დაღუპულ ამხანაგის კამოს ხსოვნას. ხსენებული სამუსიკო ნაწარმოები, როგორც მელიტონ ბალანჩივაძის წარწერა მოწმობს აღბეჭდილია უეჭველი ნიჭით.

— დღეს, 20 ივლისს, საღამოს 7 ნახ. საათზე, მთავარ არქივის შენობაში (ოლლას ქ. № 48) შესდგება საქართვ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრება, რომელზედაც სარგის კაკაბაძე წაიკითხავს მოხსენებას თემაზე: 1) **ქართული ანბანი ქრისტიანობის დამკვიდრებამდის**—ცდა მე-4 საუკუნის ქართული წარწერის წაკითხვისა, 2) ძველ ქართველ მემატიანეების შესახებ—ლეონტი მროველი. კრება საჯაროა.

— ივლისის 22-იდან ტფილისის მეაბრეშუმეობის სადგურის შენობაში გაიხსნება გამოფენა მეაბრეშუმეობის და მეფუტკრეობის ექსპონატებისა, რომელსაც გზავნიან მოსკოვში სრულიად რუსეთის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზედ.

— **სიბურთალოზე** გაიხსნა ახალი, მე-XIII სამილიციო უბანი.

— **ეროვნული საკითხი.** ა. კ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტმა დაადგინა დაარსოს კომისია ამხ. ორახელაშვილის, ელიავას, თალიბლის, ჰუსეინოვის და ბოღდატიევის შემადგენლობით. კომისიის მიზანია ა. კ. ცენტრ. აღმ. კომიტეტის მეორე სესიის ეროვნულ საკითხის შესახებ დადგენილების პრაქტიკულად განხორციელება.

— **სასოფლო-სამეურნეო გადასახადი.** ა. კ. ცენტრ. აღმ. კომიტეტმა მიიღო პროექტი სასოფლო-სამეურნეო გადასახადში შეღავათის მიცემის შესახებ.

— **შრომის კომისარიატი.** შუამდგომლობას სძრავს სახკომსაბჭოს წინაშე შტატების გადიდების შესახებ ტფილისის სამკურნალო დაწესებულებებში, რადგან არსებული შტატი ცოტაა და მიმართავენ ზედმეტ სამუშაოს.

— **ფქვილი იაფ-ფასებში.** „ზაკტპომ“ შუამდგომლობა აღძრა ა.-კ. სახ. კომ. საბჭოს წინაშე ტფილისის რკინის გზის მოსამსახურეებისთვის იაფ ფასებში პურის ფქვილის დათმობის შესახებ.

— **თეთრეულის მიღება მოსკოვიდან.** „ზაკტპომ“ მოსკოვიდან მიიღო დიდძალი დამზადებული თეთრეული (კაცის და ქალის), თეთრეულის გაყიდვა დაიწყება ამ დღეებში.

— **საქონლის განაწილება განყოფილებებს შორის.** „ზაკტპომ“ თავის განყოფილებებს დაუგზავნა სხვა და სხვა საქონელი ალექსანდროპოლში, ნახიჩევანში, ხაშურში, შორაპანში, სამტრედიაში, ფოთში, ქუთაისში და ბათომში.

— **საქონლის შემოტანა.** 16 ივლისს ბათომის ნავთსადგურში მოვიდა გემი „პელუტენი“, რომელმაც მოიტანა რამდენიმე ათასი ტონა საქონელი. გემი უკან გაბრუნებისას წაიღებს ნავთს.

— **ქართულ-სომხურ მწიგნობარის ლაზარე ივანეს ძე კარაპეტიანის ოცი წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად.** ახლო ხანში განზრახულია გაიმართოს საპატივცემულო საღამო ლაზარე კარაპეტიანის, რომელიც 20 წელიწადია დაუღალავათ მუშაობს ქართველი და სომეხი ერის დასაახლოებლათ, რაც გამოიხატება ქართული ლიტერატურის სომხურათ და სომხურიდან ქართულად გადათარგმნაში.

საქართველოს მუზეუმის ფასადების გამოფენაზე.

სანამ თითონ გამოფენილ გეგმებზე ვიტყვით რასმე, საჭიროდ ვსთვლით აღვნიშნოთ შემდეგი არა სასურველი მოვლენა: გუშინ სამშაბათს, ივლისის 17-ს გამოცხადებული იყო გაზეთებში, რომ საქართველოს მუზეუმის ფასადების გადაკეთების პროექტები გამოფენილი იქნებიან ივლისის 17 და 18 ამა და ამ ადგილას. დღეს ეს გამეორებით გამოცხადებულია. დღესვე შუადღის შემდეგ 2 საათზე შესდგება სპეციალური კომისია, რომელმაც უნდა ამოარჩიოს ერთი რომელიმე გეგმა, რომელიც აღსრულებაში იქნება მოყვანილი. მაშ რა მნიშვნელობა აქვს ამ პირობებში გამოფენას?

ვისიც ყურადღებას მიიზიდავს ამნაირი გამოფენა, ისინი ყველანი დატვირთული არიან სხვა საქმეებითაც, და ამიტომ ბევრმა, ვინც წავიკითხეთ გაზეთებში განცხადება, გუშინ ვერ მოვასწარით გამოფენაზე დასწრება, და დღეს 1—2 საათს შეტს ვერ გადავდებდით გამოფენისთვის. მართალია ბევრი არ არის გამოფენილი,—სულ 8 გეგმაა, მაგრამ მაინც 2 საათის განმავლობაში ამათი განხილვა, დაფიქრება, გამოკვლევა და შეუცდომელი დასკვნის გამოთქმა შეუძლებელია. ჩვენ-კი გვგონია, რომ როდესაც წყდება ბედი ამისთანა დიდი ეროვნული საკითხისა, როგორც საქართველოს მუზეუმის საკითხია, ქართველ საზოგადოებას არა თუ უფლება აქვს, პირ იქით, მოვალეობაც ადევს მიიღოს ამნაირ საკითხვის გადაწყვეტაში მონაწილეობა და გამოსთქვას თავის შეხედულობა პრესის საშუალებით. მაშინ კომისიაც მიაქცევს თავის ყურადღებას პრესაში გამოთქმულ შეხედულობას, და თითონ გამოფენაც მიაღწევს თავის მიზანს. და თუ ამ გამოფენას ის მიზანი აქვს, რომ უსაქმო ხალხი შევიდეს დროს გასატარებლად, გაიარ-გამოიაროს და გამოვიდეს,—მაშინ ეს გამოფენა მიზანშეწონილი არ არის. ჩვენ გვსურს, რომ მომავალში ამნაირი გამოფენები უფრო ხანგრძლივი იყვნენ და გამოცხადებულნი იყვნენ რამდენიმე დღით (და არა ერთხელ), წინ, სანამ გამოფენა გაიხსნება.

ეხლა მიუბრუნდეთ თითონ გამოფენილ გეგმებს. როგორც მოგახსენეთ ზემოდ სულ 8 გეგმაა გამოფენილი, და ეს 8 გეგმა გაიყოფება სამ ჯგუფად; **პირველი ჯგუფი**—„კავკასიის“ მუზეუმის ფასადის ძველი გეგმებია—ტატიშჩევისა და ნეპრინცეკისა, ამათზე ლაპარაკი ეხლა მეტია, რაკი განზრახულია ფასადის გადაკეთება, და საჭიროც არის გადაკეთება: იყო დრო, როდესაც საქართველოში ყველაფერი ქართული დევნილი იყო, ეს იყო რუსეთის მეფობის უჟამური დრო. ეხლა როცა ქართველ ერს აქვს საშუალება თავისი ეროვნული კულტურის აღორძინებისა, ჩვენ უნდა გავაჩაღოთ ამნაირი მუშაობა და გავაცხოველოდ ქართული ეროვნული კულტურა და განსაკუთრებით ქართული ეროვნული ხელოვნებაც. ჩვენ უარს არ ვყოფთ სპა-

რსულ, არაბულ, სხვა აღმოსავლეთის და თუნდ ევროპიულ სტილებს, მაგრამ ჯერ-ჯერობით ჩვენი საკუთარი ეროვნული სტილი უნდა ვამუშაოდ არა მარტო სახელმწიფო და საზოგადო შენობებში, არამედ კერძო შენობებშიაც სიქართველოს დედაქალაქში ტფილისში, სხვა ყველა ქალაქებში და დაბა-სოფლებშიაც. ამიტომ ეს ორი გეგმა პირველი ჯგუფისა **მისაღები არ არიან.**

მეორე ჯგუფს შეადგენ მუზეუმის ფასადის გადაკეთების გეგმები, ე. ი. ახალი გეგმები მადათოვისა, სეევეროვისა და ნეპრინცევისა, რომლებიც უნდა გავიხილოთ ცალ-ცალკე.

მადათოვის გეგმა მთლიანად არ არის უშნო, მაგრამ არც არაფერს თვალსაჩინოს წარმოადგენს; დეტალები—ქართული ჩუქურთმები, ნამეტნავად ფანჯრების მორთვა გადმოღებული უნდა იყვნენ ყოფილ თავად-აზნაურობის ბანკისა და ეხლა განათლების სახალხო კომისარიატის შენობიდგან, ახალი არა ფერი არ მოიპოვება გეგმაში.

სეევეროვის გეგმა ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს ზემოდგან წარდგმული ფანჩატურით: ეს ფანჩატური სრულებით არ ეთანხმება დანარჩენ ფასადს და არც აგებულებითი კავშირი აქვს მასთან: პატარა ბავშვები რომ სიმინდის ფოჩის ულვაშებს გაიკეთებენ და ყველა ხედავს, რომ ულვაში მხოლოდ მიბმულია ტუჩზე, საკმარისია თითი წამოჭერას და ჩამოკარდება, სწორედ ამნაირ შთაბეჭდილებას ახდენს ფანჩატური—საკმარისია ქორმა წამოურბინოს და ფანჩატური გადმოვარდება, ამნაირია შთაბეჭდილება. თუ ფანჩატური მოეხსნება—მაშინ დანარჩენი ფასადი ძალიან სადა და ულაზათოა. ნეპრინცევის გეგმაში არაფერი ქართული არ მოიპოვება, ნამეტნავად ზემოდგან წამოსკუპებულ სამრეკლოში, რომელსაც ამასთან ერთად არც აგებულებითი კავშირი აქვს მუზეუმთან. ამ ჯგუფიდგანაც არც **ერთი გეგმა არ არის მისაღები.**

მესამე ჯგუფში მოვაქციეთ მაჭავარიანის, კალგინის და კალაშნიკოვის გეგმები, რომლებიც მიიპყრობენ განსაკუთრებულ ყურადღებას.

მაჭავარიანის გეგმა კარგ შთაბეჭდილებას ახდენს თავისი ნამდვილი ქართული ხასიათით: ყოველი ხაზი, ყოველი ჩუქურთმა, ყოველი ნაწილის მოხაზვა ნამდვილი ქართულია, მაგრამ მთლიანად ფასადი ძალიან აჭრელებულია, დაქუცმაცებული და დანაწილებულია. ამიტომ მთლიანად არ ახდენს მზვერელზე დიად შთაბეჭდილებას; ეს წვრილი ნაწილები არც გამოჩნდებიან თითონ შენობაში. არც შეჰფერის ეს დაქუცმაცება ფასადისა ამისთანა დიდს და დიდებულ შენობას როგორც საქართველოს (ე. ი. ეროვნული) მუზეუმი არის. ამნაირი შენობისთვის საჭიროა მძლავრი მასიური ფასადი, რომელიც მთლიანად უვარდება მზვერელს თვალებში და არა ნაწილ-ნაწილ. მაჭავარიანის გამოფენილი ფასადი გამოსადეგია პატარა შენობებისთვის, როგორც მაგალითად რკინის გზის მე-II-რე და მე-III-მე ხარისხის სადგურებისთვის, სასოფლო სკოლებისთვის და საავათმყოფოებისთვის, კერძო საკუთარი შენობებისთვის. თუ ავტორი გაიზიარებს ჩვენს აზრს და დასთანხმდება ჩვენ შენიშვნას, ადვილად დასძლევს ამ ნაკლსაც, საჭიროა უფრო **ხელგაშლით** მუშაობა.

პალგინის გეგმა აკმაყოფილებს ყოველგვარ მოთხოვნილებას: ფასადი მასიური. მძლავრი და ქართულია, ამ მხრივ ბევრი ლაპარაკი არ არის საჭირო.

მხოლოდ შესანიშნავია შუაგულის შუბლიანი (fronton)—ქართული არ არის, ორთავ მხრივ კოშკები რომ ჩამოაცალოთ დარჩება ალექსანდრე I ეპოქის empire'ის შუბლანი.—ეს კიდევ არაფერი, მაგრამ საყურადღებო ის არის, რომ ეს ფასადი ძალიან ემზგავსება კალგონის მიერ აშენებულ განათლების კომისარიატის ფასადს, მართალია გამეორება არ არის, განსხვავებაც არის, მაგრამ ეს ორი ფასადები ძალიან მონათესავენი არიან ერთმანერთისა და ახლო მეზობლებიც არიან—ეს დიდი ნაკლია ჩვენის აზრით: უნდა ახალ-ახალი რამ შევიმუშავოთ ხოლმე.

დაგვრჩა კალაშნიკოვის გეგმა. ეს გეგმა სრულებით ახალია და მშვენიერია. თითონ ფასადი დიდი და დიდებულია, მძლავრია, როგორც დიდი და დიდებულია თითონ მუზეუმის შენობა თავისი ზომებითაც და დანიშნულებითაც. ამ დიდებულ მასიურ მძლავრ ფასადზე მშვენივრად არის გამოწეული წინ შუაგული თავისი ნამდვილი ქართული შუბლანი და სხვა მორთულობით.

ფასადს ძალიან ამშვენებს ორი კოშკები. მხოლოდ მარჯვენა კოშკის წინა კედელში ჩართული საათი (თანამედროვე საჟამო ფიცრით) ვერ ურიგდება ქართულ სტილს და არც სადმე მოგვიკრამს თვალი ძველ ქართულ შენობებში საათისთვის. ამის გადაკეთება ადვილია: შეიძლება საათის მაგივრად მოთავსებული იყოს შოთას გორელიეფური სურათი, რაც ძალიან დაამშვენებს ამ შენობას.

შეიძლება საათიც დარჩეს მაგრამ მაშინ საჭიროა ძველი საათის მოთავსება. ისეთი საათისა, რომელიც თანამედროვე უნდა იყოს ჩვენი ხუროთმოძღვრების აყვავების ხანისა მე-XI—მე-XII საუკუნისა—ძველი ვენეციანური საათისა.

ამ გეგმის ავტორს ყველაფერი მოსაზრებული აქვს და ყველაფერს დაჭფიქრებია, მაგალითად: მარჯვნივ გვერდის კედელი **დალმართზედ ირიბად** დაშვებული მშვენიერ შთაბეჭდილებას ახდენს, როგორც სანდო საყრდნო ამ მძლავრი და მძიმე შენობისა.

მაინცა და მაინც გულახდით და სიმართლით რომ ვსთქვათ კალაშნიკოვის გეგმა ერთად ერთი გეგმაა გამოფენაზე, რომელსაც ვერაფერ წუნს ვერ დავზდებთ (საათის გარდა), ამიტომ **ეს გეგმა და მხოლოდ ეს გეგმა არის მისაღები.**

ჩვენ აქ ვეხებით ფასადების მხოლოდ მხატვრულ მხარეს. დრო არა გვქონდა მიგვექცია ყურადღება ტექნიკური მხარესთვისაც, მაგრამ ეს არც ისე საჭიროა: ტექნიკურ მხარეზე ნამეტნავად დამოკიდებულია ხარჯი, რომელსაც გამოიწვევს ფასადის გადაკეთება, მაგრამ ხარჯმა არ უნდა შეგვაშინოს: ამ გვარ შენობას, როგორც ეროვნულ მუზეუმს ერი აშენებს ერთხელ და სამუდამოდ, საშვილიშვილოთ, აწინდელმა თაობამ უნდა გადასცეს მომავალ თაობას რა სიმაღლის წერტილზე იდგა ჩვენი ხუროთ მოძღვრება, ამ დიდებული მიზნისთვის არ უნდა დავიშუროთ არც ფული და არ უნდა დავზოგოთ არც შრომა.

ინჟენერი ივ. თულაშვილი.

18 ივლისი 1923 წ.
ქ. ტფილისი

ეკონომია თუ ექსპლოატაცია

როდესაც ამ სათაურს ვწერდი თვალ-წინ წარმოდგენილი მქონდა ბათომის ორი საგადასახადო უბანი. ეს ორი უბანი ისეთი დატვირთულია მუშაობით, და შემოკლებულია შტატით, რომ წარმოუდგენელია. ორივე საგადასახადო უბანში შტატით ირიცხება 12 კაცამდე. პირველში 8, მეორეში 4—კაცი. აღნიშნულ საგადასახადო უბნებში მუშაობა სწარმოებს დილის 8 საათიდან 2 საათამდე და საღამოს 5-დან 10 საათამდე. მართალია, რომ თანამშრომლები ზედმეტ გასამჯელოს ღებულობენ, ზედმეტი მუშაობისათვის, მაგრამ წარმოუდგენელია და აუტანელიც მათი მუშაობა ამ სიცხეში და ამავე დროს ისიც მისაღებია მხედველობაში, რომ შრომის ბირჟაც სავსეა უმუშევართა რიცხვით. მესმის, ერთი ან ორი კვირით ზედმეტი მუშაობის წარმოება, საქმის გამოსასწორებლად, მაგრამ მუდმივი, თვიური საღამოს მუშაობა მე მგონი რომ დაუშვებელი უნდა იყვეს. თუ ეს მუშაობა გამოწვეულია მით, რომ შტატი მცირეა და ხაზინას ზარალი არ მიეცეს—მოკლე შეხედულებაა, ვინაიდან ზედმეტი მათი მუშაობით და მისი გასამჯელოთ, რომელსაც ღებულობენ იგინი შეიძლება თამამად დაიქირავონ თითეულ უბანში 2—3 კაცი. ეს ორი-სამის კაცი მეტ ნაყოფს მოუტანს მუშაობას, ხაზინას ნაკლები გასავალი ექნება, თვით მოსამსახურეები არ დაავადმყოფდებიან და უფრო ჯანსაღი კარგად იმუშავებენ. შრომის ბირჟაც კი ორი-სამი კაცით განთავისუფლდება, მშიერ უმუშევრებს საშვალება მიეცემა საზრდოების და სხვა.

საჭიროა მიაქციოს ამას ყურადღება შრომის კომისარიატმა და არ დაამტკიცოს შემდეგისთვის თვიური ზედმეტი მუშაობა.

სოფოკლი.

პარტიაში

— პარასკევს, ივლისის 20, საღამოს სრულ 7 საათზე, პარტიულ კლუბში დანიშნულია მე-4 რაიონის წევრთა საზოგადო კრება.

დღის წესრიგშია:

1) მოხსენება ტფალისის საქალაქო კონფერენციის შესახებ.

2) მიმდინარე საკითხები.

გამოცხადება სავალდებულოა აუცილებლივ დანიშნულ დროს.

მე-4 რაიკომის მდივანი **აკ. სირაძე.**

ჰიათურის შავი ქვის მრეწველობა

(**საუბარი „ჩემო"-ს ძირეულ ტრუსტ ჰ. თუმანიშვილთან**)

„ჩემო"-ს საზოგადოებამ შავის ქვის გაზიდვა დაიწყო 1919 წლიდან, როდესაც შავი ქვის ბაზრები, დარდანელის სრუტეს დახურვის გამო, ხელში ჩაიგდეს მეტოქეებმა. საქართველოს გასაბჭოებიდან „ჩემო"-მ განაახლა შავი ქვის გაზიდვა მეტად მძიმე პირობებში. ამ წლების განმავლობაში ამხანაგობას ბევრი დაბრკოლების გადალახვა დასჭირდა როგორც საგარეო ბაზარზე, ისე სახელმწიფოს შიგნიდაც.

საჭირო იყო მოწესრიგება აპარატისა შავი ქვის დატვირთვისა და გაზიდვისათვის. ანგარიში უნდა გაგვეწია საზღვარგარეთ საბანკო ოპერაციების უქონლობისათვის და საქმე უნდა გვეწარმოებინა ვალიუტის საშინელი რყევის პირობებში, რომელიც შეუძლებლად ხდიდა სწორი კალკულიაციის წარმოებას.

„ჩემო"-ს საზოგადოებამ სძლია ყველა დაბრკოლებებს და მთავრობას შესძინა არა ერთი ათეული ათასი გირვანქა სტერლინგი მოგება.

დიდი ნივთიერი ზარალისა და თავგამოდებული მუშაობის წყალობით საზოგადოებამ შესძლო დაკარგულ ბაზრების დაბრუნება, ასწია ფასი შავ ქვაზე და გაზიდვის საქმეც გააფართოვა. 1922 წელს გაზიდული იყო 166,000 ტონა შავი ქვა, წელს კი ივლისამდე ე. ი. ნახევარი წლის განმავლობაში გაზიდულია 168,000 ტონა. ე. ი. ნახევარ წელიწადში იმაზე მეტია გაზიდული, ვიდრე შარშან მთელი წლის განმავლობაში გავიტანეთ. წელს შარშანდელთან შედარებით ფასმაც იმატა 50 პროცენტით. თუ 1922 წელს მთავრობამ შავი ქვის გაზიდვისაგან მიიღო 70,000 გირვანქა სტერლინგი, წელს სახელმწიფოს შემოსავალი ამ დარგიდან 200—250 ათას გირვანქა სტერლინგს უნდა უდრიდეს. მაგრამ შავი ქვის მრეწველობა ისეთ მწვავე კრიზისს განიცდის, რომ თუ მუშაობის პირობები არ შეიცვალა, მაშინ მთავრობას ნაკლები მოგება დარჩება, ვიდრე 1922 წელს. ამისი მიზეზი გახლავთ უცხოეთის ვალიუტის კურსი. ჰიათურის შავი ქვის მრეწველობა უმთავრესად უცხოეთის ბაზარს აწვდის თავის პროდუქციას და თავის ნაწარმოებს ანაღდებს უცხოეთის ვალიუტაზე. შავი ქვის მრეწველობაში კი ხარჯებს ისტუმრებს საქონლის მანეთით ადგილობრივი ფულის ნიშნებით.

ეს გარემოება უცხოეთის ვალიუტის სრული გავლენის ქვეშ აყენებს ჰიათურის შავი ქვის წარმოებას: ამ ვალიუტაზე კურსის აწევის დროს მოგება იკლებს და ბოლოს დადგება ისეთი დროც, როდესაც მრეწველობა ზარალის მეტს ვერას ნახავს. სწორედ ასეთს მოვლენას აქვს ადგილი ამჟამად შავი ქვის მრეწველობაში. 1 იანვრისათვის გირვანქა სტერლინგის კურსი იყო 1,185 მან. ოქრ. ეხლა კი, როდესაც გირვანქა სტერლინგის კურსი 5 მან. ოქროზე ჩამოვიდა, მოგების მაგიერ უკვე ზარალი მოაქვს (თითო ტონაზე 9 მ. ოქროთი).

პასუხის პასუხი

2. ლოლიკური დომხალი.

თუ ნააზრევი რაიმე მთლიანობას არ წარმოადგენს იგი მოკლებულია ყოველივე ფასს. თუ ნააზრევი სისტემა არ არის, სადაც ურთი-ერთშორის გადანასკულია ყოველი მომენტი აზროვნებისა და და შეთანხმებულია განსაზღვრული დებულების სიმტკიცის ნათელსაყოფად, შეუძლებელია რაიმე დანასკვის მიღება. ნააზრევი, რომელიც აზრთა წინააღმდეგობის კომპლექს წარმოადგენს, არ შეიძლება დასახულ იქნეს სერიოზულ დისპუტის ობიექტად. ამ შემთხვევაში საჭიროა ლოლიკური წინააღმდეგობის ნათელყოფა და იგი თავის თავად დაიშლება. აქ ჩვენ დავინახავთ, რომ სხვა გზით შეუძლებელია ამხ. სან-დონთან პოლემიკის წარმოება. თუ მას ერთ დებულებას დაუმტკიცებთ, იგი მეორეს მის საწინააღმდეგო დებულებას აიღებს თავისი ფელეტონიდან, რადგან მისი ნააზრევის წინააღმდეგობის გამო არ შეიძლება ერთი დებულების უარყოფით გაყვეთ აზრთა წყობის უარყოფას. ეს შეუძლებელია იმიტომ, რომ მის, ნააზრევს ერთი სწორი ხაზი არ ახასიათებს. იგი ურთიერთშორის საწინააღმდეგო ნაფლეთების ხასიათს ატარებს. გავერკვიოთ თვით დედანში. ჯერ ამოვწეროთ დადებითი დახასიათება მარქს-ენგელსის ნაციონალური პოლიტიკის. შემდეგ კი უპასუხოთ მისი სიტყვებით.

„მარქსა და ენგელს მეტად ცოტა აქვს ეროვნული საკითხის შესახებ ნაწერი, როგორც კერძო წერილებში, ისე თხზულებებში, მაგრამ რაც არის ძვირფას მასალას წარმოადგენს ეროვნული საკითხის, სწორად დაყენებისათვის და სრულიად ეწინააღმდეგებიან იმ პროგრამას, რომელსაც ადგანან „მენშევიკური პარტიები."

ქვემოდ „ეს გეგმა და პოლიტიკური გეზი ირლანდიის საკითხში, რომელიც მეტად პატარა ადგილს დაიჭერს (თუ უჭირავს? ს. ა.) მარქსის რევოლიუციონურ ნაწერებში, თავისი შინაარსია და მნიშვნელობით ათასეულ ლიტონ გეგმებს სჯობია ეროვნული საკითხის საღად დაყენებისათვის".

ქვემოდ ამხ. სან-დონი ეხება ელზას-ლორენის და პოლონეთის შესახებ ენგელსის აზრს და დაასკვნის:

„ეს არის ნიმუში საღი და სწორი ხაზისა ეროვნულ საკითხში? (იხ. „ტრ." № 470). „მარქს-ენგელსი გვაძლევენ გარკვეულ შეხედულებას ერის მომავლის შესახებ" (№ 491). „ეროვნული მომენტისა და პროლეტარულ მოძრაობის შორის მარქსმა შესძლო **პრინციპიალურ ნიადაგზე** მისაღები პროპორციის სწორწონაობის დამყარება" (ხაზი ავტორისა ს. ა.) (№ 497).

„მარქსმა შეადუღა, შეარიგა ერთმანეთ ორი მომენტი (რევოლიუციონური და ეროვნული) ირლანდიის მაგალითზედ, ამით შესანიშნავი ნიმუში მოგვცა იმისა, **თუ საზოგადოთ,** როგორ უნდა სვამდეს ყოველი რევოლიუციონერი ეროვნულ საკითხს", (ხაზი ჩემია ს. ა.) (№ 500).

„მარქს ენგელსი უცილოდ იცავდენ ერთა თვითგამორკვევის პრინციპს. ეს პრინციპი თავის თავად გულისხმობს ერის დამოუკიდებლობასა (?) და თავის ნებაზედ თავისი ინტერესების მოწყობას" (ხაზი ავტორისაა ს. ა.) (№ 507).

„მარქს-ენგელსი აყენებდენ რეალურ შინაარსის პროგრამას ყველა ნაციებისათვის: **ყოველი ერის ცალ-ცალკე გაერთიანების და მათთვის დამოუკიდებლობის შექმნას"** (ხაზი ავტორისაა ს. ა. № 508).

ეხლა ავალაპარაკოთ ამხ. სან-დონი თავისივე თავის წინააღმდეგ.

„მარქს-ენგელსა და მის მიმდევრებს (კომუნისტებს) აქვთ მრავალი დადებითი მხარეები თავიანთ ეროვნულ პროგრამაში, **მაგრამ აქვთ უარყოფითიც".** ხაზი ჩემია ს. ა.) (№ 485).

როგორც მკითხველი ხედავს ზემოდ მოყვანილ ამონაწერებში მარქს-ენგელსის ეროვნული პროგრამის უარყოფითი მხარეების შესახებ დუმილია. პირიქით. იქ გვეუბნება, რომ შეადუღა, შეაერთა ეროვნული და რევოლიუციონური მომენტები, პრინციპიალურ ნიადაგზე მისაღები პროპორცია დაამყარა მათ შორისო. „საზოგადოთ" ყოველი რევოლიუციონერი ასე უნდა სვამდეს კითხვასო. ეხლა გამოდის, რომ **საზოგადოთ** ყოველი რევოლიუციონერის ნაციონალური პროგრამა უეჭველად უარყოფით მხარესაც უნდა ატარებდეს. მაგრამ ეს ცოტაა. გავყვეთ ქვევით.

„მარქსი სცნობს ეროვნებას, მაგრამ არ ანიჭებს მას დამოუკიდებელ პოლიტიკური ფაქტორის როლს, არ აყენებს მას კლასობრივი მომენტის გვერდით".

(ხაზი ჩემია ს. ა.) (№ 489).

ამხ. სან—დონო, სოციალ-ფედერალიზმის მიმდევარს შეუძლია თუ არა „საღად და სწორად "ჩასთვალოს ისეთი შერიგება, „შედუღება" „ეროვნული და რევოლიუციონური" მომენტების, სადაც ეროვნებას დამოუკიდებელი პოლიტიკური ფაქტორის როლი არა აქვს და იგი არ სდგას კლასობრივი მომენტის გვერდით?

გავყვეთ „მარქსმა არ მოგვცა დამთავრებული თავის ისტორიულ-მატერიალიზმის სისტემიდან გამომდინარე შეხედულება ერის, ეროვნების განვითარების და მისი მომავლის შესახებ". (№ 489).

ამხ. სან—დონი აქ გვეუბნება, რომ „მარქსმა არ მოგვცა" „ეროვნების განვითარების და მისი მომავლის შესახებ" შეხედულებაო. „ტრ." № 491-ში კი, გვეუბნება **„მარქს-ენგელსი გვაძლევენ გარკვეულ შეხედულებას ერის მომავლის შესახებო".** (ხაზი ჩემია ს. ა.) რომელს დაუჯეროთ ამხ. სან—დონო? თუ დამიმტკიცეთ, რომ მარქსმა არ მოგვცა გარკვეული შეხედულება ერის მომავლის შესახებ, თქვენ მიპასუხებთ—მართალიაო, თუ დამიმტკიცეთ საწინააღმდეგო მაშინაც მიპასუხებთ—მართალიაო. მაგრამ მკითხველმა იკითხოს—სად არის სიმართლე და ვინ არის მართალი? შეიძლება თუ არა ასეთ პირობებში პოლემიკის წარმოება?

კიდევ. „ამ გვარად ისტორიული მატერიალიზმიდან და ისტორიული ცხოვრების მიმდინარეობის ამ გაგებიდან სრულიად გამომდინარეობს აუცილებლად ეროვნების უარყოფა. ვიმეორებ მარქსის ისტორიული მეთოდი ჩემის გაგებით არ არის სრული, **მას ერთგვარი რევიზია, ესაჭიროება,** მაგრამ აქედან სრულიად არ გამოდის, ის, რომ მას ყოველივე სისულელე ვათქმევიოთ". (ხაზი ჩემია). (№ 489).

მარქსის მეთოდი სრული არ ყოფილა. თურმე მას **რევიზია** სჭირდება ჩვენი რევიზორისაგან, მაგრამ უსრულო მეთოდითაც კი „საღად და სწორად" გადაჭრილა საკითხი. უსრულო მეთოდით, თუ კი შესაძლებელია „საღი და სწორის ხაზის" აღება, რა საჭიროა მაშინ სრული მეთოდი. რევიზია მეთოდისათვის. თურმე რევიზიის საჭიროება არ ნიშნავს, რომ სისულელე ვათქმევინოთ სარევიზიო თეორიას. ამას რაღა ლაპარაკი სჭირია. რევიზიის „საჭიროების" ცნობა რევიზიის მოხდენას არ ნიშნავს და მაშასადამე არც სისულელის თქმას. სისულელეს, ამხ. სან—დონო, რევიზიის პროცესში ლაპარაკობს ზოგიერთი რევიზორი. თქვენ, როგორც პირველ ფელეტონში აღვნიშნეთ, შეუდექით, როგორც სოციალ-ფედერალიზმის, ისე მარქსიზმის რევიზიას. ჯერ-ჯერობით დიდი სიბრძნე არსად სჩანს. გავყვეთ შეიძლება შემდეგ ვიპოვოთ.

„მარქსისათვის ეროვნება, ეროვნული საზოგადოება არის **ფაქტის საქმე,** ისტორიული ცხოვრების მიერ შექმნილი და გამტკიცებული არსებული ფაქტის საკითხია. **ამ ფაქტში მარქსი დიდ კულტურულ ღირებულებასა და პროგრესის მამოძრავებელ ძალას ვერ ხედავს.** მარქსისათვის უფრო მისაღები იქნებოდა, რომ მსოფლიო ერთსახოვანი ყოფილიყო და ერთ ენაზედ მოლაპარაკე". (პირველი ხაზი ავტორისაა, მეორე ჩემია ს. ა.) (№ 492)*

ამხ. სან—დონო, კიდევ უნდა გკითხოთ: სოციალ-ფედერალისტისთვის მისაღებია ერი, როგორც ფაქტის საკითხი, მოკლებული კულტურულ ღირებულებას და პროგრესის ძალას? მაგრამ ან რა გკითხო, როდესაც იმასაც ამბობთ, რომ სოციალისტ-ფედერალიზმისათვის ეს მიუღებელიაო, მაგრამ თვით სოციალისტ-ფედერალისტი (ოფიციალურად მაინც) აცხადებ, რომ „მარქსმა შეადუღა, შეარიგა ორი მომენტი რევოლიუციონური და ეროვნული" და მისაღები პროპორცია დაამყარა მათ შორისო. იმასაც კი გვეუბნებით, რომ კომინტერნი მარქსის თვალსაზრისით აყენებს ეროვნულ საკითხსო, ხოლო კომინტერნის მიერ ეროვნული საკითხის დაყენება „უაღრესად რევოლიუციონურ ფაქტს წარმოადგენსო". თუ კომინტერნი მარქსის კანონიერი მემკვიდრეა და მის ხელში კი ეროვნული საკითხი რევოლიუციონური ფაქტია, ასეთი ყოფილა მარქსის ხელშიაც ეს საკითხი, ხოლო რაც რევოლიუციონური ფაქტია, ის პროგრესის მამოძრავებელი ძალაც არის და კულტურული ღირებულებაც. გამოდის, რომ ერთსა და იგივე მოვლენას ერთი და იგივე თვისება ერთ და იმავე მიმართებით კიდეც ჰქონია და არც ჰქონია. (ლოლიკაში ასეთ მოვლენას lex contradietionis ეწოდება) ამხ. სან—დონი მწყრალად არის ლოლიკის მიმართ. შეიძლება ლოლიკა იყოს ამხ. სან—დონის მიმართ მწყრალად.

თუ ამხ. სან-დონს დაუჯერებთ, მარქსის აზრით ერი „დიდი პროგრესიული და კულტურული ძალა არ ყოფილა, მაგრამ ამავე დროს ეროვნული სახელმწიფოს შექმნა (მაშასადამე ერის გამოსვლა თავისუფლად, მისი ნებისყოფის გამოხატვა გარეშე ძალადატანებისა) **„მეტად დიდი პროგრესიული ფაქტ**

*) ამავე ფელეტონში ამხ. სან—დონი გვეუბნება „ამით აიხსნება ის ურყევი ფაქტი, რომ მარქს-ენგელსი **ნაციონალური სახელმწიფოს შექმნას მეტად დიდ პროგრესიულ ფაქტს ხედავენ, წარმატების აუცილებელ ფაქტორად მიაჩნდათ".** (ხაზი ავტორისაა ს. ა.)

ამიტომ გასაკვირველი არ არის, თუ შავი ქვის მრეწველნი სჩივიან შავი ქვის კრიზისზე. შავი ქვის მრეწველობის განვითარებაზე კი ბევრათ არის დამოკიდებული საქართველოს კეთილდღეობა.

მდგომარეობა მეტად დამაფიქრებელია და საჭიროა, რაც უნდა მოხდეს, ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევა. იმის იმედი, რომ მადანზე ფასი აიწევს, მისი თვითღირებულება დაიკლებს, რკინის გზის ფრახტი ან მუშათა ხელფასი შემცირდება—დღევანდელს პირობებში ან უაზრობაა ან შეუძლებელი.

ერთად-ერთი ხსნა არის უცხოეთის ვალიუტაზე კურსის გადიდება.

(„კომ.“).

ისევ ზაქ. რუსიშვილზედ

ამას წინად ზ. ჭიჭინაძე სწერდა ჩვენ გაზეთში (№ 519) ძველ და მივიწყებულ ასოთ-ამწყობ ზაქ. რუსიშვილზედ.

ამავე პირს იგონებს გაზ. „მუშაში“ მოხუცი ბელეტრისტი ს. მგალობლიშვილი და შემდეგსა სწერს:

„ერთი უმხცოვანესი სტამბის მუშა, ასოთ-ამწყობი დავიწყებულია ამხანაგებისაგანაც და საზოგადოებისაგანაც.

ეს სტამბის მუშა **ზაქარია რუსიშვილი**, ტფილელი ამაღლების უბნელი.

დღეს იგი ღრმად მოხუცებული 80-მდე წლისა განიცდის უკიდურეს სიღარიბეს.

ზაქარია სწავლობდა სასულიერო სასწავლებელში, მეოთხემდე მივიდა, მაგრამ სიღარიბემ იძულებული ჰყო 1864 წელში სწავლას დასთხოვნილიყო.

1865 წ. შევიდა სტამბაში შეგირდათ ასოთ-ამწყობის შესასწავლად.

1866 წლიდან იმას უკვე ვხვდებით ნომერი გაზ. „დროებისა“ 1866 წელში და მას შემდეგ „დროებას“ არ განშორებია.

იმ დროს ერთად-ერთი სტამბა იყო სტეფანე მელიქიშვილისა.

აი ამ სტამბაში, სადაც ექვითიმე ხელაძეც მუშაობდა, ზაქარია რუსიშვილი განუწყვეტლივ მუდმივად მუშაობდა. „დროების“ რედაქციას და მესტამბეს—ჯერ სტეფანე მელიქიშვილს და მეორე იოსებ მელიქიშვილს უყვარდათ ზაქარია, როგორც ერთგული და პატიოსანი მუშა:

თავის ნაწვავ-ნადაგით ნამუშევარით იყიდა ამაღლების უბნის მთის კალთაზე გასატეხი ადგილი და იქ აიშენა ოთახები.

ზაქარია ცოლ-შვილიანობას გვიან მოეკიდა სიღარიბის გამო.

ჰყავს 3 შვილი 2 ქალი და 1 ვაჟი.

ერთი ქალიშვილი დავადებულია და არავითარი მუშაობა არ შეუძლია, მეორე ქალიშვილი მსახურობს და მხოლოდ ის არჩენს ოჯახსა. ვაჟიშვილი, რომელსაც სიღარიბის გამო რიგიანი სწავლა ვერ მიაღებინა, ჩამორჩა თანამედროვე ცხოვრებას და მეტ ბარგად არის ოჯახში.

ზაქარია რუსიშვილი „დროების“ გარდა სხვაგანაც მუშაობდა.

მაგ. მე კარგად მახსოვს, რომ 1869 წ. და შემდეგაც ზაქარია ჟურნალ „მნათობის“ ნომრებს ჭკრავდა და ხელის მომწერლებს ურიგებდა.

სხვა სტამბებშიაც მუშაობდა მას შემდეგ, რა კი „დროება“ დაიხურა.

მანამ შეეძლო სტამბებიდან არ გამოსულა, ბოლოს თვალის სინათლე დაიკლდა, შრომა ველარ შესძლო უძლურებისა გამო.

დღეს იგი, როგორ შრომის უნარს მოკლებული, დაუძლურებული, როგორც ვთქვით, განიცდის დიდს ნივთიერს გაჭირვებას.

აწმყო ხანაში, როცა ყოველ ამისთანა მუშას დიდი ყურადღებით ეკიდებიან და საბჭოთა მთავრობა ზრუნავს მათ კეთილდღეობაზე, არც ზაქარია რუსიშვილი უნდა დარჩეს უყურადღებოდ, ვინაიდან მას იმ შავბნელ ხანებში უხდებოდა მუშაობა, როცა იგი მუშაობდა და თვისი, ღვაწლი და წვლილი შეუტანია ქვეყნის საკეთილდღეოდ.

უეჭველია, აწინდელი სტამბის მუშაკნი არ იცნობენ ამ მოხუც მუშას, თორემ დარწმუნებული ვართ, მიეშველებოდენ.

ვაქვეყნებთ ამ ამბავს ზაქარია რუსიშვილზე იმ იმედით, რომ მუშა ამხანაგები, მესტამბენი, მიაქცევენ მას ყურადღებას და ზაქარიას ცხოვრებისაგან დასერილს გულს სიკვდილს ჟამს მაინც უწამლებენ რაიმე შემწეობის აღმოჩენით.

„მუშის“ რედაქცია მოუწოდებს თავის მხრივ მუშებს, ყურადღება მიაქციონ ამ შრომის უნარ დაკარგულ მუშას და სამართლიანად აღნიშნავს.

„ჩვენ ხშირად ისე გვემართება რომ ზოგიერთს თან გადავყვებით, ზოგს კი მთლად მივივიწყებთ ხოლმე, არც ეს ვარგა“.

არა, რაკი მუშებმა გაიგეს რუსიშვილის ვინაობა და ეხლანდელი მდგომარეობა, დარწმუნებული ვართ, მას ღირსეულადაც მოეპყრობიან.

პროვინციაში

რას აკეთებენ!

სოფ. საგვაზავო. საბოკუჩავო. (სენაკის მაზრა). სოფ. საგვაზავო—საბოკუჩავოის საზოგადოება 300 კომლზე მეტი მცხოვრებლებისაგან შესდგება. ამ ორ მჭიდროდ შეკავშირებულ სოფლების ზოგიერთი პიროვნებების დაუღალავი მუშაობით 1914 წ, საძირკველი ჩაეყარა ისეთ დიად სახალხო საქმეს, როგორიც არის სკოლა. უდავო ჭეშმარიტებაა, რომ მაშინდელი დროის სკოლა, ვერ იყო აღჭურვილი იმ პრინციპებით, რომელსაც მოითხოვს ნამდვილი სახალხო შრომის სკოლა და მაშასადამე ვერ ემსახურებოდა მშრომელ ხალხს; ასეთი ძველი ტიპის სკოლა ხელს უწყობდა „პარუსკობიეს“ მცოდნე ინტელიგენტთა კადრის შექმნას, რომლებიც მშრომელ ხალხთან ძლიერ დაცილებული იყვნენ სულიერად და ზნეობრივად.

მიუხედავად ამისა ღირსშესანიშნავია სოფელ საგვაზავ—საბოკუჩავოსათვის ის დღე, როდესაც დიდი ვაი-ვაგლახით, ქრთამით თუ სხვა საშუალებით საძირკველი ჩაედგა განათლების საქმეს. სილამაზით საინტერესო, კოხტად წამოდგმულ სახლს მხოლოდ ის ნაკლი აქვს დღეს, რომ დარბაზი ორ კლასისათვის არის საკმაო და მთლიანი შრომის სკოლის მოთხოვნილებებს ბინით ვერ აკმაყოფილებს ის. საკვირველია, რისთვის არ მოუვიდათ აზრათ სოფლის მოამაგეთ, რომ ასეთი ანორმალი მდგომარეობისთვის ყურადღება მიექცია და ფართე მასის საშუალებით სკოლის ბინა გაედიდებიათ აქამდის. ასეთი საქმისათვის საგვაზავო—საბოკუჩავოს საზოგადოება თავისი მხრივ არასფერსაც არ დაიშურებდა. და მით მადლობასაც დაიმსახურებდა მისგას ღვაწლისათვის. 1922 წელს სკოლის სარემონტო მუშაობა კარგად დამთავრდა. მართალია დიდი დაბრკოლებებს გადაეღობა საალმშენებლო კომისია, მაგრამ შესაძლებლობის დაგვარად მას არ დაუკლია ცდა და უნარიანობა.

მეტი ენტუზიაზმით ეგებებოდა ძველი საალმშენებლო კომისია სკოლის გადიდების საქმეს, (რისთვისაც ისინი ღირსნა არიან მადლობისა) მაგრამ რამოდენიმე მისი წევრთა, საპატიო მიზეზით განთავისუფლების თხოვნისა, მათ მაგიერ იქნა ამორჩეული ახალი პირებისაგან შემდგარი საალმშენებლო კომისია. უნდა მოგახსენოთ, რომ ხალხი ძლიერ უკმაყოფილოა მათი უმოქმედობით და ასეთ ლაპარაკს ხშირად გაიგონებთ: „ჩვენ ამოვურჩიეთ კომისიები, გვეგონა რასმეს გააკეთებდენ და ისინი კი სდუმან, და უმოქმედობას იჩენენ“-ო. სინამდვილეც იმას გვიმტკიცებს, საალმშენებლო კომისიას არ მიუღის არავითარი სასწრაფო ზომები სკოლის ირგვლივ საკითხების მოსაწესრიგებლად და ყოველივე დავალებანი სკოლის გამგისა, რომელიც თავისი მხრივ თვითონაც პასუხისმგებელია საქმის წინაშე, არ სრულდება. სკოლის გამგის რამოდენიმეჯერ მოწოდება კრებაზე [illegible] — [illegible] მათში ერთნაირ უსიამოვნებას და მაშასადამე საალმშენებლო მუშაობის [illegible] საგვაზავო—საბოკუჩავოს მთლიანი შრომის სკოლას მოელის მომავალ სასწავლო წელს კლასებისათვის ბინის უქონლობის გამო, IV, V და VI კლ. მოხსნა. და ეს კი დიდს უსიამოვნებას და აღელვებას გამოიწვევს საზოგადოებაში. მოუწოდებ საალმშენებლო კომისიას ყოველივე ღონისძიება იხმაროს და თუ უბრალო არა, კვირა დღე მაინც ანაცვალოს ხალხის კეთილდღეობისათვის მუშაობას და მით თავიდან აიცდინონ პასუხისმგებლობა.

გრიშა ქვიტირელი.

ხიდისთავი. (გურია) ამ თემში კულტურული მუშაობის მაჯის ცემა მეტად სუსტია და ფერმკრთალი. და ყოველივე ეს მაშინ, როცა ძალა საკმაოთ მოიპოვება. მიზეზია გულცივი და ინდიფერენტული მოპყრობა, რაიც არ ეპატივება გურიის ნიჭით აღსავსე და იმავე დროს ხოლერიულ ტემპერამენტის მტარებელ ახალგაზრდობასა და აგრეთვე ადგილობრივ ხელის უფლებას, რომელიც მოვალეა გაუწიოს მფარველობა და ხელმძღვანელობა პირველთ.

ადგილობრივმა ახალგ. კომკავშირმა შეადგინა დასი, რომელშიაც შედის 30 სკენის მოყვარე და ხანგამოშვებით გაუშვა წარმოდგენები ხიდისთავის თემის სხვა და სხვა ადგილებში, რამაც სასიამოვნო შთაბეჭდილება დასტოვა მცხოვრებლებზე.

გარდა ამისა ადგილობრივმა ხელისუფლებამ შეიმუშავა პროექტი ხიდისთავის თემის სხვა და სხვა ადგილებიდან ეკლესიების შენობათა გადმოტანის დაბაში და ერთი საერთოს სახალხო სახლის აგების შესახებ. სათანადო მუშაობა უკვე დაიწყო. სოფ. ახალშენში, რომელეც ხიდისთავის თემს მიეწერება, საერთო კრებაზე დაადგინეს, ადგილობრივი სკენის დარბაზი (ეკლესიის შენობა) გადატანას დაბა ხიდისთავში. ეს მეტად სიმპატიური მიზანია და ხალხიც სიხარულით ეგებება ამ მოვლენას.

Sichtbarkeit.

საუბარი გლეხთან

1. ახალი მეურნეობა

ეს არის მოვათავე პ. კრაპოტკინის წერილები მეურნეობა-მრეწველობის შესახებ. რაც ცნობები და აზრები იყო იმ წერილებში გატარებული, მცირეს გარდა, სულ კრაპოტკინისა იყო. დღეს კი მე თვით ჩემ საკუთარ აზრებზე და ცნობებზე მინდა ვილაპარაკო, ჩემო საყვარელო გლეხო, ჩემი ქვეყნის ქვაკუთხედო—ბურჯო! მინდა გელაპარაკო ნამდვილ საქმიან მეურნეობაზე და მის გაუკეთესება-აღორძინებაზე ჩვენში. დამეთანხმები, რომ ეს დიდათ საინტერესო იქნება შენთვის და ამიტომ გთხოვ ყური მათხოვო, ბეჯითად იკითხო ჩემი წერილები, მარტო იკითხო კი არა, თან უთუოთ შეითვისო, ჩემი ყოველი აზრი და მიმართულება, რომ მუდამ შეგეძლოს მათი ყოველგან და ყოველდროს თვით საქმეზე გამოცდა და გამოყენება.

დროა შეიგნო, ჩემო კარგო, შემდეგი: მრეწველი ხალხი რომ მდიდარია და ამის გამო განათ-

---

და **„წარმატების აუცილებელი პირობა“** ყოფილა. (ხაზი ჩემია ს. ა.)

ამხ. სან-დონო, ბოლოსა და ბოლოს ხომ საზღვარი უნდა ქონდეს ყოველივეს. ნუ თუ ვერ ხედავთ, რომ ასეთი მსჯელობა მსჯელობის პროფანაციაა?

„მგზავსად პიროვნების საკითხისა, მარქსისათვის **ერი არ წარმოადგენს მიზანს**“. (ხაზი ავტორისაა. ს. ა.) (№ 492) „მარქსი ადგილს უთმობს ეროვნულ საკითხს და ეროვნულ პროგრამას, მაგრამ იგი დამორჩილებულია კლასთა ბრძოლის პრინციპთან“. (იქვე).

მიკვირს, რისთვის ღა კამათობს ამხ. სან-დონი? რისთვის ხარჯავს ამდენ ენერგიას? რაც უკანასკნელ ორ ამონაწერში მან სთქვა, ამას ვამტკიცებდი სწორედ მე და სხვას არაფერს. მე ვწერდი, რომ მარქსისათვის კლასთა ბრძოლის თეორიით არის განხილული ყოველი საკითხი და ამდენათვე ეროვნული საკითხი მისთვის არ არის პრინციპის საკითხი, არამედ ტაქტიკის საკითხია მეთქი?

თუ ერი მიზნის საკითხი არ არის, არამედ იგი ფაქტის საკითხია, რასაც არც „დიდი კულტურული ღირებულება“ აქვს და არც დიდი „პროგრესიული ძალა“, მაშასადამე იგი არ შეიძლება პრინციპის, მიზნის საკითხიც იყოს. ამას უმტკიცებდი მე ამხ. სან-დონს და აქედგან გამომყავდა ის დასკვნა, რომ ჩვენი გაგებით მარქსის სკოლაში ნაციონალური საკითხი არ არის „სწორად და საღად“ გადაჭრილი მეთქი. ამხ. სან-დონი მეუბნება: მარქს კიდეც ჰქონდა ერის მომავალზედ გარკვეული შეხედულება და არც ჰქონია ასეთიო. მისთვის ნაციონალური საკითხი პრინციპის საკითხიც არის, მაგრამ არც ღირებულება აქვს ამ პრინციპს, არც პროგრესიული ძალა აქვს და იგი არც მიზანიაო. (მაშ, რაღა პრინციპია? ს. ა.).

აშკარად აგვერია მონასტერი. ამ ლოღიკურ დომხალში გარკვევა შეუძლებელია. ჩვენ არ ვიცით, რას იღებს და რას არ იღებს ამხ. სან-დონი. რას ეწოდება მის თერმინოლოგიაში პრინციპი და რას ტაქტიკა? ყოველივე ზემოდ აღნიშნულიდან ერთი მაინც ცხადია. ამხ. სან-დონს ვერ შეუშვებთ სარევიზიოდ სოციალ-პოლირიკურ დოქტრინებში. თუ ეს არ ჩავიდინეთ იგი დიდი კურიოზების წინაშე დაგვაყენებს. პოლიტიკური პარტიის პრინციპებში ჩაგვიწერს ისეთ რასმე, **რასაც არც კულტურული ღირებულება აქვს, არც პროგრესის მამოძრავებელი ძალაა; რაც არც მიზანია.** ნაწილს პროგრამის ასეთ ნაწილს იგი დაარქმევს პარტიის პრინციპებს. მოხდება უმაგალითო მოვლენა პოლიტიკურ პარტიათა ისტორიაში. ეს იქნება ჩვენი რევიზორის დიდებული „რევიზია“, რომელიც მას უკვდაჰყოფს, რადგან უდიდესი აბსურდი „უკვდავ არს“.

მოყვანილ ამონაწერებს, ეს „სწორი და საღი“ დასმა ყოფილა საკითხის, ამხ. სან-დონი სწერს:

„...მისი მოღვაწეობის პროგრამაში (მარქზედ არის ლაპარაკი. ს. ა.) ეროვნული საკითხი არ მიდის სწორი ხაზით და ხშირად იჩრდილება, მაგრამ **ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მის რევოლიუციონურ სისტემაში შეუძლებელი იყოს პრინციპიალურად ეროვნული საკითხის მოთავსება**“. (ხაზი ავტორისაა. ს. ა.) (№ 197).

ზემოდ ამხ. სან-დონი გვეუბნებოდა, რომ „მარქს-ენგელსი აყენებენ რეალური შინაარსის პროგრამას ყველა ერისათვის“ ამ პროგრამის „რეალური შინაარსი“ ყოფილა „ყოველი ერის ცალ ცალკე გაერთიანება და მათვის დამოუკიდებლობის შექმნა“. ეხლა კი გვეუბნება, რომ „ეროვნული საკითხი იჩრდილება“, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ შეიძლებოდეს „მის რევოლიუციონურ სისტემაში პრინციპიალურად ეროვნულ საკითხის მოთავსებაო“.

ამხ. სან-დონო, თუ შესაძლებელია მოთავსება, ცხადია ადგილი ცარიელი ყოფილა, სადაც ამიერიდან უნდა მოთავსდეს, აქამდე კი არ ყოფილა შიგ მოთავსებული. ამდენხანს ყურები გამოგვიჭედე მარქსისათვის ეროვნული საკითხი არ არის მარტო ტაქტიკის, არამედ პრინციპის საკითხიც არისო „მისაღები პროპორცია“ უკვე დამყარებულია, ეხლა გვეუბნები შეუძლებელი არ არის მასში ამ საკითხის მოთავსებაო.

ჭეშმარიტად, რომ თქვენს აზროვნებაში ყველაფრის მოთავსება შესაძლებელია...

საინტერესოა მეორე მხრივაც ამხ. სან-დონის დებულება. მივიღოთ, რომ მარქსისათვის პრინციპიალური საკითხია ნაციონალური საკითხი. დავუჯეროთ ამხ. სან-დონს, რომ მისი პროგრამის „რეალურ შინაარს“ შეადგენს „ყოველი ერის ცალ-ცალკე გაერთიანება და მათვის დამოუკიდებლობის შექმნა“. ვინ არის მაშინ მარქსი? ცხადია სეპარატისტი. მე ვწერდი მარქსი უჭერდა მხარს ჩაგრულ ერთა დამოუკიდებლობას, როგორც დამჩაგვრელი ერის საწინააღმდეგო რეაქციას, ამით, იმის თქმა შეუძლებელია, რომ მარქსი სეპარატი იყოს და პრინციპიალურად იცავდეს დამოუკიდებლობას. ასეთი რამ მარქს არასოდეს არ უთქვამს. იგი მას ჩვენმა რევიზორმა ათქმევია მართალი, რომ იყოს ჩვენი რევიზორის მიერ მარქსის ნაციონალური პროგრამის „რეალური შინაარსის“ განსაზღვრა, მარქსის მიმდევრები საქართველოში კომუნისტები კი არ იქნებოდენ, არამედ ნაციონალ-დემოკრატები, მაგრამ ჩვენი რევიზორი ბევრი ფიქრით თავს არ იწუხებს. იგი თითონ პრინციპიალურად იცავს დამოუკიდებლობას (ამდენათვე „ფედერალისტი“ პრინციპიალურად ეწინააღმდეგება ფედერალიზმს.) მას სურს მარქსთან ახლოს იყოს. ამიტომ რადგან მარქსმა დაიცო ირლანდიის დამოუკიდელობა, პოლონეთის ჩამოშორება, აქედან მას გამოყავს დასკვნა მარქსის სეპარატისტობის შესახებ და მას თავის თანამოაზრეთ სთვლის. შემდეგი განხილვანიც, ჩვენ დაგვანახებს, თუ რამდენ საბრალოა მარქსი ამხ. სან-დონის ხელში.

მაგრამ მართალია კი ისტორიულად, რომ მარქს-ენგელსი ყოველი, ერის დამოუკიდებლობას იცავდენ? ეს არ არის მართალი. ენგელსი სლავიანთა ხალხების მიმართ მთელი თავისი სიმკაცრით იყო ამხედრებული. ჩეხებს ის მომაკვდავ ნაციათ სთვლიდა და სხ. ეს ამხ. სან-დონმაც იცის, მაგრამ როგორც ყველგან, ისე აქაც წინააღმდეგობაშია გახლართული. ჯერ ამბობს ყოველ ერის დამოუკიდებლობას იცავდაო, შემდეგ კი გვეუბნება ზოგისას ებრძოდაო. გვარეობითი და სახეობითი ცნებანი-მისთვის არ არსებობს.

ვისაც სურს ობიექტიური მკვლევარი იყოს მარქს-ენგელსის ნაციონალური პოლიტიკის იგი „კონკრეტიულ მაგალითების“ მეთოდით კი არ უნდა შეიკაზმოს, არამედ მარქს-ენგელსის მთელი სისტემის გაშუქებით უნდა მიუდგეს ეროვნული საკითხის განხილვას, ისტორიულად „კონკრეტიული მაგალითის“ მეთოდით მეტად შეუფერებელი დასკვნები მიაწერეს მარქსა და ენგელს. ჰეტრე სტურვე, ჰერვე, პლეხანოვი, ლეჩი, დავიდი, კვარკი, გილომი, შრეთერი, ჩერნოვი, ჰენრის კუნოვი და სხვა მრავალი მარქს-ენგელს პანგერმანისტებათ და შოვინისტებად ნათლავენ. ეს შესაძლებელია იმ მეთოდის მოხმარით, რომლითაც ხელმძღვანელობს ამხ. სან-დონი. მართლაც ამხ. სან-დონის დასკვინისათვის, რომ მარქს-ენგელსი დამოუკიდებლობის აპოლოგენტნი—არიან, თუ საკმაო საფუძველია ირლანდიის, პოლონეთის ელზას-ლორენის საკითხის შესახებ მათი აზრების მოყვანა, ასეთივე უფლებით შეიძლება მოწინააღმდეგემ, მათ მიერ სლავიანთა ხალხების საწინააღმდეგოთ გამოთქმული აზრები მოიყვანოს და დაასკვნას მათი შოვინისტობა, კაციჭამიობა. ორივე შემთხვევაში იჩრდილება ჭეშმარიტება და საკითხი ბნელში რჩება დატოვებული. ამიტომ საჭიროა მარქსიზმის ძირითად კონცეპციების პრიზმით იქნეს განხილული ნაციონალური საკითხი. ამ კითხვას ჩვენ შემდეგ განვიხილავთ. ეხლა დაუბრუნდეთ ისევ ამხ. სან-დონის უცნაური ლოღიკის ნიმუშებს.

მე საპასუხო წერილში ამხ. სან-დონს შევეკითხე:—მისაღებია თუ არა მისთვის ლენინის ცენტრალიზმი, „სოციალიზმის მიზნად“—„ერთა შეერთების“ დასახვა? იგი მისაყვედურებს: რა საჭირო იყო ასეთი კითხვა, როდესაც მარქს-ენგელსზედ გვქონდა ლაპარაკიო? ჩემი შეკითხვა მართებული იყო, რადგან ის სწერდა მარქს-ენგელსის ნაციონალური პოლიტიკის სისწორეზედ და აღნიშნავდა, რომ ამ თვალსაზრის ატარებს დღეს კომინტერნიო. თუ ამხ. სან-დონს არ სურდა მარქს-ენგელსის ინტერპრეტაციის ფარგლებს გაშორებოდა, მართლაც რა საჭირო იყო კომინტერნის შესახებ ლაპარაკი; ხოლო რადგან მასზე ლაპარაკობდა, მე უფლება მომეცა შევკითხოდი—იღებს თუ არა იგი ლენინის თვალსაზრისს (რომელიც კომინტერნის ერთ ერთი ხელმძღვანელია) ნაციონალური პოლიტიკის შესახებ. ამასთანავე დავსძენდი.

„ჩვენ ვფიქრობთ ამხ. ლენინმა უფრო კარგად გაიგო მარქსი, ვიდრე ამხ. სან-დონმათქო“.

მე მჭონდა გარკვეული ლენინის ცენტრალისტური თეორია და ერთა შეერთების წამოყენება სოციალიზმის მიზნად.

რას გვიპასუხებს ამხ. სან-დონი? ეთანხმება თუ არა ლენინს? ის კიდეც ეთანხმება და კიდეც უარყოფს მას. მივმართოდ მის სიტყვებს.

„ამხ. ლენინს წილად ხვდა სისწორით აღდგენა მარქსის რევოლიუციონური სისტემის, რომელიც მრავალი წლების განმავლობაში დავიწყებული და გაუგებარი იყო. მანვე შესძლო მარქს-ენგელსის შეხედულების აღდგენა ნაციონალური საკითხის შესახებ“ (№ 505.)

ამხ. სან-დონს „სრულიად სამართლიანად“ მიაჩნია ამხ. ფ. მახარაძის შემდეგი სიტყვები: „მხოლოდ ლენინს უნდა უმადლოდეთ, რომ მან ნამდვილად და პირდაპირი წყაროების საშუალებით აღადგინა მარქსისა და ენგელსის შეხედულება ნაციონალურ საკითხზედ და მან, როგორც აღჭურვილმა ნამდვილი მარქსისტული შეხედულებით ამ საგანზედ, შექმნა სრულიად ახალი სკოლა, რომელიც ნამდვილ რევოლიუციას ახდენს ნაციონალური პრობლემის, როგორც თეორიულ გაშუქების, ისე მის პრაქტიკულ გადაჭრის სფეროში“.

ლებულიც და კეთილ-ცხოვრებასაც მიღწეული, განა მარტო იმისგან არის ასეთი, რომ თავის მუშებს ესენი ფცქვნიან, ე. ი. ნაკლებ ხელფასს აძლევენ? რასაკვირველია, მარტო ეს არ უშველიდა.

ამასთან საჭიროა რომ კაცი იყოს საქმის მუყაითი და არ იყოს მფლანგაგი.

მრეწველობას ისე აქვს თავიანთი წარმოება მოწყობილი, რომ ერთს წამსაც არ ჩერდება მათი წარმოების იარაღები თუ მანქანები, რომლებშიაც ასე უშურველად გაიღეს მათ მთელი მილიონები და მილიარდები და შემდეგ დიდის მოწიწებით დაბაძანეს ისინი საგანგებოდ სასახლეთა სახისაებრ აგებულ ქარხნებში და მუშაობენ-მუშაობენ ეს რკინისა და ფოლადის კაცები-მანქანები დღე მუდამ შეუჩერებლად და მასთან ასი-ათასჯერ გადიდებული ძალებით!...

მაშ რად უნდა კვიკვირდეს, რომ მრეწველები გამდიდრდნენ?! გამდიდრდნენ იმიტომ, რომ მათმა რკინისა და ფოლადის კაცებმა—მანქანებმა თუ იარაღებმა არა და არ იციან რა არის დაღლა და შესვენება, რა არის შეჩერება! ასეთია საზოგადოთ თვისება ყოველი იარაღისა: ამუშავებ—მოგცემს და ყელამდის აგავსებს, არ ამუშავებ და არაფერს მოგცემს...

მაგრამ, აი, შენცა გავს, ჩემო. ძმაო, სწორედ ასეთი და ათას-წილად უფრო კარგი (თავისი ბუნებრივი ქიმიური ძალებით) და ხელ-მარჯვე იარაღი წარმოებისა, ეს იარაღი არის ის შენი მიწა, რომელსაც ტყუილად კი არ ვეძახით „დედას, დედა-მიწას“, რადგანაც ეგ არის შენი, მთელი შენი ოჯახის და საზოგადოთ ყოველი სულდგმულის ერთადერთი წყარო ცხოვრება-სიცოცხლისა, სხვა მისთანა არც არის და არც როდისმე იქნება...

უბედურება აქ მხოლოდ იმაშია, ჩემო ძმაო, რომ, იმ დროს როცა მრეწველთა წარმოების იარაღს მთელი დღე-ღამე გუგუნი გააქვთ, შენ წელიწადში მხოლოდ ერთხელ ძლივს დასძრავ ხოლმე მაგ შენს იარაღს-მიწას და გინდა კი, რომ ამ იარაღმაც ისე გაგამდიდროს და კეთილ ცხოვრებაში გამყოფოს, როგორაც ქარხნის იარაღები ანიჭებენ სიმდიდრეს მრეწველებს?! უჯერო, დაუძლეველი მოთხოვნილებაა ასეთი მოთხოვნილება! აუცილებლად საჭიროა შეითვისოთ ის აზრი, რომ რაც არ მუშაობს და არ მოქმედობს, შეუძლებელია რამე მოგცეს და, ამიტომ, თუ გინდათ, რომ თქვენმა იარაღმაც, მიწამ, მოგცეს ის, რაც მას ნამდვილად შეუძლიან, უთუოდ იგიც ისევე შეუჩერებლად უნდა ამუშაოთ, როგორაც მრეწველები ამუშავებენ თავიანთ იარაღებს თავაანთ ქარხნებში. თორემ, თქვენც კარგად იცით, რომ თითონ ქარხანა, ე. ი. სახლები, რომლებშიც ეს მანქანები ბრძანდებიან, სიმდიდრეთა ხვეტაში არასფერს შუაშია, თუ ვინმე იგებს რასმე აქ, ამას მხოლოდ ამ რკინისა და ფოლადის კაცთა-მანქანების მოქმედებით და მუშაობით იგებენ!..

ასეა ნამდვილად საქმე და, თუ გინდა, რომ შენმა იარაღმაც იმ რკინისა და ფოლადის იარაღებსავით ხვეტოს შენთვის სიმდიდრე, დამიჯერე აამოქმედე იგი, აამუშავე შეძლებისა კვალად შეუჩერებლივ და მერწმუნე, რომ შეუძლებელია გაცილებით მეტი არ მოგცეს მრეწველთა ამ უსულო იარაღებზე, რადგანაც დედამიწა იგივე ცოცხალი არსებაა და ისე მოქმედებს, როგორც თვით ცოცხალი ადამიანი იმ დროს, როცა სხვა ყველა იარაღს და მანქანას სჭირია ადამიანისა და სხვა მასალათა თუ საგნის—სახლის, საწვავის, ზეთის და სხვა მისთანა ძალთა დახმარება, შენს იარაღს—მიწას კი ამის მსგავსი რამ არაფერი უნდა, ოღონდ უნდა ამოქმედო და ამოქმედო რამდენიც შეგიძლიან, მოხნა და დათესო ეს არის შენი საქმე და მოვალეობა [და დანარჩენი თითონ მიწამ გარემო ბუნებამ იცის—თესლს თითონ გადაამუშავებს, გააღვივებს, გააცოცხლებს, გაზრდის, ნაყოფს, მოასხმევინებს, მოაწევს და გეტყვის: „ახლა შენი ჯერია, მომკევი, გამლეწე, დაარკვიე და გამდიდრდიო“...

ვიმეორებ: უსაქმურობით და ცუდად გდებით არც არავის შეუძენია რამე და ვერც შენს საყვარელს მიწას შეუძლიან მოგცეს რამე საგრძნობელი, თუ მარად და მარად არ ამოქმედებ მას.

მაშ ეგრე: დამუშავება და თესვა, მუდამ და შეუყენებლად, რასაკვირველია, ერთი მოსავლიდამ მეორემდის, აი პირველი კანონი, რომელიც უნდა მაგრად ჩაიბეჭდო თავში და მუდამაც გახსოვდეს იგი, რომ საჭიროებისამებრ ყველგან და ყოველ დროს შეგეძლოს მისი მოხმარება და გამოყენება.

ახლა, როგორ და რაში უნდა გამოისახოს ეს შეუჩერებელი და შეუყენებელი ხვნა და თესვა?

ასეთს მდგომარეობაშია სწორედ და ზედმიწევნით დღეს ჩვენ მეურნეთა საქმე. მიჩიჩქმოჩიჩქნიან წელიწადში ერთხელ თავის მიწას, მოსთესავენ როგორც შეუძლიანთ (შეიძლება ვსთქვათ „ხელად“, ე. ი. გულ-დაუდებლად) და არიან მას მერნ მთელს წელიწადს არხეინად: „ჩვენი ლუკმა პური მიბარებული გვაქვს ჩვენი „დედამიწისთვინ“, ის გვაჭმევს, ჩაგვაცმევს, შეგვინახავს, გვაცხოვრებს გვაცოცხლებსო“...

და იმას კი არ ფიქრობენ საწყლები, რომ ამ ერთი ხვნა-თესვით ისინი შორს ვერ წავლენ, რადგანაც ჯერ კიდევ დაუმორჩილებელი ბუნებაა მთავარი მამოძრავებელი მიწის ყოველი მოსავლისა და ამიტომ. ადვილი შესაძლებელია, როგორც ნამდვილად ხდება კიდეც, რომ მათი ნათესი ერთ მშვენიერ დღეს სეტყვამ მიწასთან გაასწოროს ანდა გვალვამ თუ უდროვო ყინვებმა სრულიადაც მოსწვან მოსავალი და ამ სახით ერთს წამს გააქარწყლოს მთელი მათი სალხინებელი იმედი დაიღუპნენ კიდეც...

ან, აი, ავიღოთ ვენახი. მთელი 5—6 წელიწადი იწვალეს საწყალმა პატრონებმა და, ვსთქვით დღეს, როგორც იყო, ნამდვილი ქართველური მოთმინებით, ცოტ-ცოტა მიაღწიეს მის მოსავალს—სანატრელ რთველს. მაგრამ, განა მარტო ვენახის მოსავალს, რაც უნდა კარგა დაისახას ვენახმა, შეუძლიან აუნაზღაუროს პატრონებს ყველა ის ხარჯები და წვალება-ოფლი. რომელიც მათ ამ თავის და ვითომც, მარჩენელი ვენახმს გაშენებაში დახარჯეს და ჩაღვარეს?! რასაკვირველია, არა. სულ კი იმიტომ, ჩემო საყვარელო, რომ ჩვენ ქართველებს ასეთი შეხედულება გვაქვს საზოგადოთ მიწაზე: რაკი ვენახი გავაშენე და ვენახად შამოვლობე, მორჩა და გათავდა, ვენახად უნდა მოკვდეს, რაც უნდა მცირე შემოსავალს გვაძლევდეს და სხვაფრივ რისამე გამოსავალს მისგან არ უნდა ვცდილობდეთ?!..

არა, შემცდარია ასეთი შეხედულება. იმ წვალებას და ხარჯებს, რომელიც აუცილებლად მოსდევს ვენახის გაშენებას და შემდეგ მის მოვლა-პატრონობას, უთუოდ ამ ოხერი თავის (მხრებზე რომ გვაქვს აყუდებული თუ დასკუპებული!) განძრევაც უნდა მოსდევდეს, თორემ ამაო იქნება ყველაფერი—შრომა, წვალება და ხარჯები, დროს დაკარგვა... რადგანაც. რასაც არა აქვს ზედმეტი შემოსავალი, ასეთია ბუნებრივი და ულმობელი კანონი პოლიტიკური ეკონომიისა, უთუოდ უნდა მოკვდეს და საუკუნოო ამოიარეს.

აბა შენ თითონ იფიქრე, ჩემო—ძმაო: ჩვეულად არის, მთელი ერთი ოსტატი მიწა შემოვლობო თითქმის მთელი ხეხვევი ვერცხლის ბანძილზე მარტო იმისთვის, რომ რამდენიმე ასი თუ მეტი ჩაფი ღვინო მივიღო და ხშირად, ესეც ვერა?! არა და არა. ჩვენ საკვებით და ძირ-ფესვიანად უნდა შევცვალოთ ჩვენი ტრადიციული—მამა-პაპური, ძველის ძველიდგანვე შეთვისებული მეურნეობა და დავადგეთ სრულიად ახალს, გაბედულს და თავდარიგიანს სისტემიანს მეურნეობას, მის ყოველ დარგში, თორემ, რაც გუშინ და მის წინ ვიყავით, კვლავაც იმ ყოფაში დავრჩებით დაბღლანძულები—მშივრები და გაუნათლებელი დაჩაგრულები...

შევჩერდეთ ცოტა ხნით ამაზე. ავხსნათ—რა არის თავდარიგიანი—სისტემიანი მეურნეობა? მაგრამ ამაზე შემდეგ იყოს...

ივ. როსტომაშვილი

თუ ამხ. ლენინმა „აღადგინა“ მარქს-ენგელსის შეხედულება ნაციონალურ საკითხის შესახებ ამხ. სან-დონი, რომელიც თავის პირველ ფელეტონში ეთანხმებოდა მარქს-ენგელს, უნდა დაეთანხმოს მის „აღმდგენელს“ ამხ. ლენინს. ლოღიკურად აქ სხვა გზა შეუძლებელია, მაგრამ სან-დონური ლოღიკა ყოვლის შემძლეა. იგი სწერს:

„ლენინი უკიდურესი ცენტრალისტია; იგი ყველა ერების „გაერთიანებას“ მოელის სოციალისტურ წყობილებაში. ეს მსოფლიო ცენტრალიზმი ლენინს გამოყავს მარქსის **მთელი მსოფლმხედველობიდან**, იგი ფიქრობს ეკონომიური ცხოვრების განვითარებას თავის თავად მივყევართ სრულ გაერთიანებამდე, ცენტრალიზმამდე მსოფლიო მასშტაბში.“ *)

მარქსის პროგრამის „რეალური შინაარსი“ იყო ყველა ერების დამოუკიდებლობა. მარქსი სისწორით აღადგინა ლენინმა. ლენინის მიზანია მსოფლიო ცენტრალიზმი. ასეთი მსჯელობა რევიზორის როლში გამოსულ პუბლიცისტს კი არა, მესამე კლასის მოწაფესაც არ ეპატიება.

*) ამხ. სან-დონი „წინასწარ მნიშვნელობაში“ გვეუბნებოდა „ლენინის წერილები ნაციონალური საკითხის შესახებ ძვირფას მასალას წარმოადგენენ მარქს-ენგელსის პოლიტიკის გასაგებად ეროვნულ საკითხში“.

იქვე „ამხ. ლენინის გენიალურმა შორსმჭვრეტელობამ და დიდმა პოლიტიკურმა ნიჭმა ეროვნული საკითხი გასწმინდა ყოველგვარ გაუგებრობისა და ზედმეტი ბალასტისაგან, და გარკვეულ გზაზედ დააყენა ეროვნული საკითხისა და რევოლიუციის ინტერესების შედეგება“. („ტრ.“ № 485.)

თუ ლენინის წერილები ძვირფასია „მარქს-ენგელსის პოლიტიკის გასაგებად“, თუ მან, ლენინმა გენიალურად გასწმინდა ნაციონალური საკითხი „ყოველგვარი გაუგებრობისაგან“ და „გარკვეულ გზაზედ დააყენა ეროვნული საკითხისა ტ რევოლიუციის ინტერესების შედეგება“, ამავე დროს, თუ ლენინი „უკიდურესი ცენტრალისტია“ და „ყველა ერების გაერთიანებას“ მოელის,—ცხადია მარქს-ენგელსიც ცენტრალისტი ყოფილა, (რადგან ლენინმა აღადგინა ისინი) და „ეროვნული საკითხისა და რევოლიუციის ინტერესების შედეგებაც“ ცენტრალიზმის საშუალებით მომხდარა. ლოღიკურად თქვენ ეს დებულება უნდა მიიღოთ, მაგრამ თქვენ ცენტრალიზმს კი არა, არც ფედერალიზმს იღებთ. თქვენთვის სხვაგვარად „დეულს“ ყოველივე.

ხ. ა.

მკითხველი ხედავს, რომ ამხ. სან-დონმა მართლაც „მეტად უხერხულ მდგომარეობაში“ ჩამაყენა. რა უნდა ვსთქვა? როგორ ვეკამათო? ჩემს წინაშე მდიდარი მასალაა გადაშლილი საერთოდ ნაციონალური პრობლემისა და კერძოდ მარქს-ენგელსის ნაციონალური პოლიტიკის გარშემო, მაგრამ ჩემს მოპირდაპირესთან ეს მასალები არ გამოდგება. თუ დაუმტკიცებ, რომ მარქს-ენგელსი არ სცდებოდენ ნაციონალურ საკითხში, ის მიგითითებს იმ ადგილებზე, სადაც თვითონ ამბობს, რომ არც სცდებოდენ; თუ დაუმტკიცებ, რომ სცდებოდენ, ამისათვისაც შესაფერი პასუხი აქვს თავის ფელეტონებში და მოგიყვანს ამონაწერს, რომ სცდებოდნენ. თუ ლენინს მივიჩნევ მარქსის სისწორით აღმდგენელს—დამეთანხმება, თუ ვიტყვი, რომ ლენინის პროგრამა სხვაა და მარქსის სხვა, ამაზედაც დამეთანხმება. თუ დავამტკიცებ, რომ მარქსისათვის ნაციონალური საკითხი დაკავშირებული და დამორჩილებულია კლასობრივ მომენტთან—ამხ. სან-დონი თანახმაა, თუ ვიტყვი, რომ მარქსისათვის ნაციონალური საკითხი პრინციპის საკითხია, ამაზედ თანახმაა. თუ არ მივიჩნევ დიდ კულტურულ ღირებულების მქონეთ და პროგრესის ძალათ მარქსის სკოლაში ერს—დისკუსანტი მეთანხმება; თუ მას მივიჩნევ „მეტად დიდ“ მნიშვნელოვან ფაქტორად, რევოლიუციონურ ფაქტად (მაშასადამე „მეტად დიდ“ პროგრესიულ ძალად) ის თანახმაა.

ბევრჯერ მქონია შემთხვევა საჯარო თუ პრესის საშუალებით პოლემიკის წარმოებისა, მაგრამ ჭეშმარიტად ასეთ „უხერხულ მდგომარეობაში“ არასოდეს ვყოფილვარ. აქ ისეთი გამოუვალი რკალია, რომ არ გშველის არც თეორია, არც ფაქტები, არც ლოღიკა, არც სიტყვა არც საქმე. ყოველივე ეს შედეგია იმ ლოღიკური დომხალის, რომელიც ჩვენ ხემოდ დავინახეთ. არ ვიცი, რომელი მეტ „უხერხულობას“ უნდა გრძნობდეს ამ ლოღიკური დომხალით—მე თუ ამხ. სან-დონი?

ეს მხოლოდ ტიპიური ნიმუშებია ამხ. სან-დონის უცნაური ლოღიკის, სავსებით მისი ამოწურვა რამდენიმე ფელეტონს მოითხოვდა. ჩვენ შეგვეძლო კიდევ გაგვეგრძო ეს ლოღიკური ექსკურსია, მაგრამ შემდეგ ფელეტონებში გზა და გზა მაინც შეხვდებით მას.

რა უნდა ვწეროთ შემდეგ ფელეტონებში? პასუხი ძნელია. უმთავრესად კი რაც შეეხება აზრთა დამახინჯებას, უმცირესად კი იმ იდეოლოგიურ დომხალის გარჩევას, რაც გადარჩება ლოღიკური დომხალისაგან.

ხერ. ამაღლობელი.

წერილები რედაქციის მიმართ

მოქ. რედაქტორო!

თქვენის გაზეთის 518 და 20 ნომერში მოთავსებულია წერილი: „საქართ. შინამრეწ. ხელოსან სამტრუდის პასუხისმგებელ მდივანსა და ტფილისის მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა საბჭოს დეპუტატის ვარლამ ჩლაიძის მიერ“.

უნდა განვაცხადოთ პატივც. „ტრიბუნის“ მკითხველების საყურადღებოდ, რომ ის არც ერთის და არც მეორის პასუხის მგებლათ დიდი ხანია აღარ ითვლება და არც შეიძლება ჩაითვალოს, ვინაიდან ისტორიას არ ახსოვს, რომ პასუხისმგებელ მდივანმა არ იცოდეს იმ საზოგადოების სახელწოდება, რომელშიაც ის ითვლება პასუხისმგებელ მდივანათ. ამისათვის ჩვენ ვაცნობებთ რედაქციას, რომ საზოგადოებას ეწოდება **თვითმშრომელთა საურთიერთო დამხმარე საზოგადოება** და ამავე დროს გთხოვდით, თუ თვითონ ჩლაიძე ვერ მიხვდა თქვენ მაინც ჩამოაცილოთ მეტიჩრულათ მითვისებული პასუხისმგებელი მდივნისა და დეპუტატის სახელი *).

ამის შემდეგ ნება გვიბოძეთ ორიოდე სიტყვით დავახასიათოთ ჩლაიძის წერილის აბდა-უბდა, სადაც უმთავრესად აღებული ჰყავს სამი პიროვნება და მარცხნით და მარჯვნით დაუფიქრებლად და გამოურკვევლად ჩირქსა სცხებს. ესენი არიან ჩხეიძე, ბალაშვილი და სვანიძე. თუმცა არსად არ ლაპარაკობს ჩლაიძე არც პირველში და არც მეორე წერილში, თუ ვინ არიან ეს პირები, რა საქმის და რა თანამდებობის ამსრულებელნი. მხოლოდ უწოდებს პოზიციას და ამით თავდება დახასიათება მისი. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ჩლაიძე განგებ მალავს და რათქმა უნდა ეს დაასაფლავებს მის ინტრიგას და ავანტიურას. მის წერილში მკითხველი ვერ დაინახავს ოდნავ ლიტერატურული ეთიკის ნასახს. მხოლოდ გაბრაზებული დედაკაცისებური ლანძღვა-გინებით არის სავსე ამ ორი წერილის სტრიქონები.

რომ მკითხველს ნათელი წარმოდგენა ჰქონდეს საჭირო არის იცოდეს, თუ ვინ არიან ეს სამი პიროვნება, ჩხეიძე, არის საზოგადოების კომიტეტის თავმჯდომარე, რომელიც ალბათ გასცემს პასუხს კომიტეტის სახელით. ბადაშვილი კი იურისტ კონსულტია დაქირავებული. ისე როგორც მრავალ საზოგადოებაში ხდება ეს. სვანიძე კი ტეხნიკური მდივანი გახლავთ საზოგადოების და იმავე დროს პროფესიონალური კავშირის წევრი. და ამ სამ პიროვნებაში გარდა ჩხეიძისა პასუხის მგებელ პირათ არ შეიმლება ჩაითვალოს არც საზოგადოება. მაშ რა გსურს, ბ-ნო ჩლაიძე? თუ ჩვენ ბადაშვილმა და სვანიძემ მოვიპოვეთ საზოგადოებაში ნდობა და სიყვარული ხალხის. ეს მოხდა არა ჩლაიძისებური ინტრიგისა და პროვოკაციის წყალობით, არამედ საზოგადოებრივი ინტერესისა და დაუღალავი ენერგიის საშუალებით. ჩვენ რა თქმა უნდა მრჩეველნი ვართ დელეგატთა და კომიტეტის კრებაზე და ამას გარდა შენისა, ბოროტებათ ვერვინ ჩაგვიგდებს. მაგრამ რა ვქნათ და რა ბრალია ჩვენი, რომ თქვენ როგორც კომიტეტში, ისე დელეგატებში დაკარგეთ ნდობა, რისთვისაც იქმენით გამორიცხული საზოგადოებიდან. განა ამაში სვანიძე და ბადაშვილი დანაშაულია! შენ, ბ-ნო ჩლაიძე, ერთხელ ხმა მაღლივ გაიძახოდი სვანიძე და ბადაშვილი ხელოსნებისთვის ისტორიული პირები ხართო და აუცილებლათ შესაფერისად უნდა დააფასოს საზოგადოებამ თქვენი სახელიო, მაგრამ შენ რა დროიდანაც დელეგატებმა გამოგრიცხათ თავის წრიდან, იმის შემდეგ სვანიძე და ბადაშვილი ფულის მფლანგველებიც შეიქმენით და შურისა და მტრობის დამთესნი სომხებსა და ქართველებს შორის. ეს ვიდრე ჩვენ უფრო ამცირებს შენს პირად თავმოყვარეობას.

ჩვენ არ გვინდა ამ წერილით გაგცეთ პასუხი ყველა შენ მიერ წამოყენებულ ბრალდებებზე, ვინაიდან ქართველი დელეგატები ალბათ დააფასებენ შენს უკბილო ოპოზიციას.

დანარჩენი ბრალდებები შეეხება სისხლის სამართლის საქმეს, რომელსაც ალბათ ოფიციალური სასამართლო გიპასუხებს და მანამდე კი მშვიდობით ტიტულით დეპუტატო და საქართველოს სამტრუდის პასუხისმგებელ მდივანს მეტიჩარა ჩლაიძე.

გ. სვანიძე,
ალ. ბადაშვილი.

—

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ თქვენს გაზეთში ადგილი დაუთმოთ შემდეგს:

დღიდან ს. ფ. პარტიის გაყოფისა (მემარცხ. მემარჯვ.) მე ვმუშაობდი მემარცხენეთა ბანაკში ქ. ქუთაისში მაგრამ სხვა და სხვა მიზეზების გამო პარტიული მუშაობის გაგრძელება ვერ შევძელი. დღეს ყველა ხელშემშლელი გარემოებები ჩემს მიერ დაძლეულია და სრული შეგნებით ვსდგები მემარცხენე სოც.-ფედ. პარტიის პლატფორმაზე და მთელი ჩემი ენერგიით მსურს ვემსახურო მის იდეალების განხორციელების საქმეს.

ბაბულია დეისაძე.

—

1916 წლიდან მე ვმუშაობდი საქართველოს სოციალ.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიაში. 1921 წლიდან კი თანავუგრძნობდი მემარცხენე სოციალ-ფედერალისტებს. სამწუხაროდ, ჩემგან დამოუკიდებელ პირობების გამო საშუალება არ მქონდა აქტიურად მემუშავა პარტიაში.

სრული შეგნებით ვუერთდები დღეიდან მემარცხენე სოც.-ფედ. და ფიცსა ვსდებ ვიმუშავო მის რიგებში მშრომელთა კლასის საკეთილდღეოდ.

ვლ. მაჭარაშვილი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე მიმოსვლის ნუსხა

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲓᲘᲡ

მატ. № 1 სწრაფი მოსკოვში შაბათობით მატ. № 1 სწრაფი პეტროგრ. პარასკეობ. მატ. № 1 „ „ სამშაბათ.	1600
მატ. № 2 „ ბათუმში სამშაბათ.	16.40
მატ. № 3 როსტოვში ყოველდღე	23.35
მატ. № 3 კახეთში „	7.15
მატ. № 4 ბათუმში „	8.05
მატ. № 8 ბათუმში „	20.40
მატ. № 20 ბორჯომში „	15.20
მატ. № 21 ბაქოში „	11.25
მატ. № 22 ბათუმში „	0.20
მატ. № 3 ერევანში კენტი რიცხვში	18.00
მატ. № 35 კახეთში „ „	10.35
მატ. № 31 ჯულფაში წყვილ რიცხვში	23.00

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲛᲝᲓᲘᲡ

მატ. № 1 ბათუმიდან შაბათობით მატ. № 2 მოსკოვიდან სამშაბათ.	14.40
მატ. № 2 პეტროგრადიდან ოთხშაბათ. მატ. № 2 პეტროგრადიდან პარასკეობ.	15.30
მატ. № 3 ბათუმიდან ყოველდღე	22.15
მატ. № 4 როსტოვიდან „	6.35
მატ. № 4 კახეთიდან „	21.50
მატ. № 7 ბათუმიდან „	8.50
მატ. № 19 ბორჯომიდან „	8.00
მატ. № 21 ბათუმიდან „	4.20
მატ. № 22 ბაქოდან „	14.50
მატ. № 4 ერევნიდან წყვილ რიცხვში	10.20
მატ. № 3 კახეთიდან „ „	18.45
მატ. № 34 ჯულფიდან კენტ რიცხვში	18.15

ᲡᲐᲐᲒᲐᲠᲐᲙᲝ

მატ. № 18 ბორჯომში კვირაობით	7.10
მატ. № 16 ხაშურში შაბათობით და უქმის წინადღით	1.55

მატ. № 17 ბორჯომიდან კვირაობით	11.20
მატ. № 15 ხაშურიდან კვირაობით და უქმის წინადღით. . .	5.10

ᲤᲘᲠᲐᲙᲘ 1900 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარმართველობის მიერ № 472 სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-სი, კრუზენშტეინის ქუჩ. № 4.